MES 1 20 0001191840

11/12/2020

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 27 ნოემბერს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.

Join Zoom Meeting: https://us02web.zoom.us/j/83437415511;
Meeting ID: 834 3741 5511

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

ნანა ყუფუნია - მსოფლიო ბანკის პროექტის - "მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება პროფესიულ განათლებაში" კონსულტანტი, საბჭოს თავმჯდომარე;
შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე;
გიორგი ტრაპაიძე - სს ,,ენერგო - პრო ჯორჯიას“ ადამიანური რესურსების დეპარტამენტის უფროსი;
ნატო ქიტიაშვილი - სს ,,საქართველოს უძრავი ქონების“ გენერალური დირექტორის მოადგილე;
ნოდარ მამინაიშვილი - აა)იპ - არაფორმალური განათლების ახალგაზრდულ ცენტრ ,,მზიანი სახლის“ გამგეობის თავმჯდომარე;
ნინო კაკულია - სსიპ - აწარმოე საქართველოში,ინვესტორებთან ურთიერთობის მენეჯერი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში -ცენტრი) წარმომ ადგენლები:

ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;

ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - კოლეჯი „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“

ნოდარ ხარაზიშვილი - დირექტორი
მაია ომიაძე - იურისტი
თამარ გიორგობიანი - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - კოლეჯი „ლაკადა“

თეანა ქუხილავა - დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
თამარ მანია - ხარისხის მართვის მენეჯერი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კახაბერ ჭეიშვილი - ცენტრის ხელმძღვანელი
ლევან წიქარიძე - პირველი მოადგილე

ა(ა)იპ - კოლეჯი „იკაროსი“

რუსუდან ჩართოლანი - დირექტორი

სსიპ - კოლეჯი „მოდუსი“

კარლო კერვალიშვილი - დირექტორი

პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტები:

თამარ რემიშვილი
თეა ბარამაშვილი
ვახტანგ ბოგველიშვილი
დავით გუდაძე
ალექსანდრე კეკენაძე
ნანა ხითარიშვილი
ალინა კუპრავა
გიული გურგენიძე
ნატო ალავიძე
ზაირა ბერიძე
ნანა შათირიშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო - 14:11 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიოჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ამიტომ, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.
თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

რადგან სხდომის მდივანი, მარიამ ჩაგელიშვილი სხდომას ვერ ესწრებოდა, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა საბჭოს წევრს, შორენა ჯაფარიძეს, რომელიც დათანხმდა.

დღის წესრიგი

1. სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ და „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
2. სსიპ - კოლეჯ - „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ელექტროობა“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „საფინანსო სერვისები“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ (თბილისი) მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ (ქ. ქუთაისი) მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
5. ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სასტუმრო მომსახურება“ და „სარესტორნო მომსახურება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა.
6. სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსადმი მიმართვის განხილვა.

პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ციხისელმა, საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა, თუ იყო შესაძლებელი საბჭოს წინაშე განსახილველად დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე საკითხით დაწყებულიყო სხდომა, ვინაიდან პირველი საკითხის წარმდგენი, ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარე ტექნიკური პრობლემების გამო ვერ ახერხებდა დროულად შემოერთებას სხდომაზე. თავმჯდომარე დაეთანხმა აღნიშნულს.

1.სსიპ - კოლეჯ - „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ელექტროობა“, „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ და „საფინანსო სერვისები“ მონიტორინგის შესახებ საკი თხის განხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერთა ჯგუფის თავმჯდომარემ ვახტანგ ბოგველიშვილმა. მან აღნიშნა, რომ სსიპ - კოლეჯ „ლაკადაში“ მიმდინარე წლის 22 ოქტომბერს განხორციელდა დისტანციური მონიტორინგი, ონლაინ პლატფორმის საშუალებით. ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯ „ლაკადას“ მიერ ავტორიზაციის პირობის შესრულების მონიტორინგი, პროფესიული საგანმანათლებლო პრგრამის - **„ელექტრო ობა“** ფარგლებში, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2020 წლის 13 ოქტომბრის №985269 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის, დაწესებულების შესაბამისობის შემოწმება.

ექსპერტმა აღნიშნა,რომ მონიტორინგის მიზნით ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისგან გამოითხოვა დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ, დაიგეგმა ონლაინ შეხვედრა და შემუშავებულ იქნა შეხვედრების განრიგი. განრიგის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა კოლეჯის დირექტორს, მასთან ერთად განხილულ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია. ასევე, დაწესებულების წარმომადგენლის ხელშეწყობით სრულად იქნა დათვალიერებული პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად აუცილებელი მატერიალური რესურსი, დისტანციური ვიზიტის ფარგლებში. ასევე, დათვალიერებულ იქნა სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემო. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის ხელმძღვანელს, მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს, მათ შორის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს. ექსპერტმა აღნიშნა,რომ წარმოების ფარგლებში, ასევე ჰქონდათ ჩართვა საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკართან და დათვალიერებულ იქნა ბიბლიოთეკა.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს მოახსენა წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში გაცემული ორი რეკომენდაციის შესრულების შესახებ:
რეკომენდაცია 1. ითვალისწინებდა 2.2.1 (1) კომპონენტის - „პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“ - სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას.
რეკომენდაცია მდგომარეობდა შემდეგში, რომ პროგრამით განხორციელებული რესურსი ყოფილიყო მობილიზებული დაწესებულების ბაზაზე, რაც ახალი წარმოების ფარგლებში გადამოწმებულ იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, როგორც დოკუმენტაციის გადამოწმების საშუალებით (მიღება-ჩაბარების აქტებით), ასევე, ონლაინ ჩართვის დროს დეტალური დათვალიერებით. გადამოწმების შედეგად დადასტურდა მატერიალური რესურსის კოლეჯის ბაზაზე არსებობა. შესაბამისად კომპონენტი ექსპერტების მიერ შეფასებულ იქნა, როგორც სრულად შესაბამისი.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ და აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე აქტიურ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა არ არის დაფიქსირებული, ვინაიდან არ მიმდინარეობს პროგრამის განხორციელება.
პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობაა - 30; პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს - 15.

რეკომენდაცია 2. ითვალისწინებდა 2.2.1 (3) კომპონენტის - „პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია“ -სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას.

კომპონენტის სტანდარტთან შესამაბისობის უზრუნველყოფის მიზნით გაცემული იყო შემდეგი რეკომენდაცია: ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებლებმა, იმისთვის, რომ შეძლონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება, გაიარონ გადამზადება მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის მიზნით ახალი წარმოების ფარგლებში დასტურდება რეკომენდაციის შესრულება. პროფესიულმა მასწავლებლებლებმა გაიარეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ტრენინგები, შესაბამისად, კომპონენტი მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასებულ იქნა, როგორც სრულად შესაბამისი.
ექსპერტმა დაასრულა პრეზენტაციის წარდგენა, საბჭოს თავჯდომარემ მიმართა თხოვნით დარგის ექსპერტს, დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია.

დარგის ექსპერტმა, დავით გუდაძემ, ისაუბრა წინა ვიზიტის დროს გაცემულ რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ წინა წარმოების ფარგლებში დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენლილი მატერიალური რესურსის ჩამონათვალი და პროფესიული მასწავლებლების გადამზადების კომპონენტი არ იყო შესაბამისობაში სტანდარტთან. მან აღნიშნა, რომ ახალი წარმოების ფარგლებში მატერიალური რესურსების ვიზუალური დათვალიერების შედეგად, ასევე წარმოდგენილი მატერიალური რესურსების ნუსხის თანახმად, სწავლის მიზნების მიღწევისთვის საჭირო მატერიალური რესურსი დაწესებულებას ნამდვილად აქვს ადგილზე მობილიზებული და დარგის ექსპერტის შეფასებით, რეკომენდაცია სრულად არის შესრულებული და სასწავლო პროგრამის განხორციელებას საფრთხე არ ემუქრება.
ექსპერტების მიერ საკითხის განხილვის შემდეგ ისაუბრა დაწესებულების დირექტორის მოვალეობის შემსრულებემლმა, თეანა ქუხილავამ, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული სამუშაოსთვის, ამ რთული გარემოების გათვალისწინებით და აღნიშნა, რომ მიუხედავად დისტანციური მონიტორინგისა, პროცესმა წარმატებით ჩაიარა.

დისტანციური მონიტორინგის წარმოებასთან დაკავშირებით, ასევე კომენტარი გააკეთა საბჭოს თავჯდომარემ. მან აღნიშნა, რომ დისტანციურ რეჟიმში მონიტორინგი და თან მატერიალური რესურსების შემოწმება საკმაოდ რთული პროცესია, ამიტომ მან დიდი მადლობა გადაუხადა ყველა ჩართულ მხარეს ეფექტიანი სამუშაოს განხორციელებისთვის და აღნიშნა, რომ ნამდვილად დასაფასებელია ის ფაქტი, რომ დაწესებულებები არ წყვეტენ ფუნქციონირებას, მუხედავად ასეთი რთული ვითარებისა. თავჯდომარემ ასევე მადლობა გადაუხადა თითოეულ ჩართულ მხარეს, ცენტრს, ექსპერტებს და საგანმანათლებლო დაწესებულებებს.
თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „ლაკადაში“ „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ლაკადაში“ (ს/კ: 242728679) „ელექტროობის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა“ მონიტორინგის დასკვნის წარდგენის შემდეგ, ექსპერტმა საბჭოს გააცნო მეორე პროგრამის, **„კომპიუტერული ქსელი და სისტემები“** მონიტორ ინგის შედეგები.

საბჭოს წინაშე მონიტორინგის დასკვნა წარადგინა ექსპერტმა ვახტანგ ბოგველიშვილმა, რომელიც მორნიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტთან, ალექსანდრე კეკენაძესთან ერთად. მონიტორინგი განხორციელდა სსიპ - კოლეჯ „ლაკადას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ ავტორიზაციის პირობის შემოწმების მიზნით (ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის ფარგლებში). ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვინაიდან უკვე ისაუბრეს მონიტორინგის განხორციელების ფორმაზე, ამაზე ყურადღებას არ გაამახვილებდა და ისაუბრებდა კონკრეტულად ამ საგანათლებლო პროგრამაზე მხოლოდ რეკომენდაციების შესრულების ნაწილზე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა შემდეგი ორი რეკომენდაცია:

რეკომენდაცია 1. ითვალისწინებდა 2.2.1 (1) კომპონენტის - „პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით“ - სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას.
სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით გაცემული იყო რეკომენდაცია, რომ მობილიზებული ყოფილიყო პროგრამით გათვალისწინებული რესურსი დაწესებულების ბაზაზე. ხოლო, **რეკომენდაცია 2.** ითვალისწინებდა 2.2.1 (3) კომპონენტის - ‘პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების’ - სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანას.
საგანმანათლებლო პროგრამის აღნიშნულ სტანდარტთან მოყვანის მიზნით გაცემულ იყო რეკომენდაცია, რომ ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელმა პროფესიული განათლების მასწავლებლებმა, იმისთვის, რომ შეძლონ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავება და შეფასების კომპეტენციის განვითარება, გაიარონ გადამზადება მოდულის განხორციელების სპეციფიკის და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების საკითხებში.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ განხორცილებული მონიტორინგის საფუძველზე დასტურდება ორივე რეკომენდაციის შესრულება, რომელიც გადამოწმებულ იქნა მატერიალური რესურსების დათვალიერებით, რაც განხორციელდა ვიდეო ჩართვის საშუალებით, ასევე დასტურდება მიღებული დოკუმენტაციის ანალიზით.
ექსპერტმა საბჭოს წევრებს ასევე მიაწოდა ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პარტნიორ დაწესებულებებთან წარმოებული ურთიერთობების შესახებ და აღნიშნა, რომ დაწესებულებას ამ პროგრამის განხორცილებისთვის გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები

შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციებთან: შპს „ორდუნეტ” და შპს „ბესტ კოპი“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება გეგმავს პარტნიორ ორგანიზაციებთან განახორციელოს სასწავლო ექსკურსიები, გარკვეული მოდულების ფარგლებში.
ექსპერტმა ხელშეკრულებებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას ხელშეკრულებებში არ აქვთ დაფიქსირებული სტუდენტთა მაქსიმალური ზღვრული რაოდენობა, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ შინაარსიდან გამომდინარე, ვინაიდან ნაგულისხმევია სასწავლო ექსკურსიები, ექსპერტებმა აუცილებლად არ ჩათვალეს ზღვრული რაოდენობის შესახებ ინფორმაცია ყოფილიყო განსაზღვრული დოკუმენტში, აქედან გამომდინარე ექსპერტებმა რაიმე ტიპის შეუსაბამობა ვერ დაინახეს.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა მეორე რეკომენდაციის შესრულების შესახებ და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაშიც დასტურდება რეკომენდაციის შესრულება. ინფორმაცია დასტურდება, როგორც კოლეჯის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელელ პირებთან გასაუბრებით. ასევე დასტურდება ინფორმაცია, რომ მათ გაიარეს პროფესიული ტრენინგი, რომელიც ორგანიზებული იყო მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

ექსპერტმა დაასრულა პრეზენტაცია და დარგის ექსპერტს მიმართა თუ დაამატებდა რაიმე ინფორმაციას დარგის მიმართულებით.
დარგის ექსპერტმა, ალექსანდრე კეკენაძემ, აღნიშნა, რომ მატერიალური რესურსი, კერძოდ კომპიუტერები, შეძენილია დაწესებულების მიერ. მან ასევე აღნიშნა, რომ წარმოების ფარგლებში მოხდა კომპიუტერების შემოწმება, ექსპერტებმა დაწესებულების წარმომადგენლებს ჩაართვევინეს კომპიუტერები და შეამოწმეს პროგრამული უზრუნველყოფა და კომპიუტერის მონაცემები, ასევე დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამის შემოწმება ასევე შესაძლებელია გარკვეული ბრძანების ჩაწერის საშუალებით, რითაც გადამოწმდა კომპიუტერის ოპერატიული მეხსიერება და იგი შესაბამისობაშია სტანდარტთან.
დარგის ექსპერტმა ხაზგასმით აღნიშმა პარტნიორ ორგანიზაციასთან თანამშომლობის შესახებ და თქვა, რომ შპს „ბესტ კოპის“ შემთხვევაში, ორი მოდულის ფარგლებში ახორციელებს საგანმანათლებლ დაწესებულება სასწავლო ექსკურსიებს, ხოლო მეორე - შპს „ორდუნეტის” შემთხვევაში კი, სამი მოდულით. ძირითადად ეს არის გაცნობითი პრაქტიკა. დარგის ექსპერტის შეფასებით, ხელშეკრულებაში ზღვრული რაოდენობის მითითება არ წარმოადგენს დაბრკოლებას.

დარგის ექსპერტის შემდეგ ისაუბრა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა და მან დაადასტურა, რომ კოლეჯი ახორციელებს სასწავლო ექსკურსიებს და აღნიშნა, რომ ხელშეკრულებებში გაწერილია რომელი სასწავლო მოდულები ითვალისწინებს სასწავლო ექსკურსიებს. აქვე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ რთული იყო აღჭურვილობის ნაწილის წარმოჩენა, მაღალი თანამშრომლობით მაინც მიიღწა შედეგი და ექსპერტებმა მოახერხეს სრულად დაენახათ ის სურათი, რაც იყო საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

დისტანციურ რეჟიმში მონიტორინგის საკითხთან დაკავშირებულ სირთულეებზე კომენტარი გააკეთა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ნინო სტეფანიშვილმა და მან აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებები, არა მარტო ამ საბჭოს ფარგლებში წარმოდგენილი საგანმანათლებლო დაწესებულებები, არამედ სხვებიც, გამოხატავენ დიდ მზაობას პროცესის ეფექტიანად წარმართვასთან დაკავშირებით, კოლეჯები ძალიან მომზადებულები ხვდებიან ექსპერტებს და ცდილობენ მაქსიმალურად მიაწოდონ ინფორმაცია, ამისთვის მან დიდი მადლობა გადაუხადა მათ.
აღნიშნულ მოსაზრებას და მადლობას შეუერთდა საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „ლაკადაში“ „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6 (შორენა ჯაფარიძემ, ტექნიკური პრობლემის გამო, ვერ შეძლო ხმის მიცემა)
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ლაკადაში“ (ს/კ: 242728679) „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“ მონიტორინგის დასკვნის წარდგენის შემდეგ, ექსპერტმა საბჭოს გააცნო მესამე პროგრამის, **„საფინასო სერვისები“,** მონიტორინგის შედეგები.

საბჭოს წინაშე პრეზენტაცია წარადგინა ექსპერტმა ვახტანგ ბოგველიშვილმა, რომელიც მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტთან ნანა ხითარიშვილთან ერთად. ექსპერტმა აღნიშნა რომ „საფინანსო სერვისების“ საგანმანათლებლო პროგრამის წინა წარმოების ფარგლებში გაცემული იყო რეკომედაცია, რომელიც შეეხება 2.2.1 (1) ქვესტანდარტის შესაბამისობაში მოყვანას. კერძოდ, სასურველია, სწავლის დაწყებამდე უზრუნველყოფილი იქნას პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონტორინგის ფარგლებში, გამოთხოვილი დოკუმენტაციის დამუშავების საფუძველზე დასტურდება მატერიალური რესურსების ფაქტობრივი ფლობა. ექსპერტმა დააზუსტა, რომ აქ იგულისხმებოდა ფულის ულტრაიისფერი დეტექტორი (6 ცალი), შტამპები და ფულის სათვლელი მანქანა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიდეო ჩართვის საშუალებით ცალ-ცალკე იქნა გადამოწმებული და დადასტურებული აღნიშნული მატერიალური რესურსის არსებობა დაწესებულებაში. გარდა ამისა, ექსპერტები ესაუბრნენ პრაქტიკის განმახორცილებელი ობიექტების წარმომადგენლებს. სამი პარტნიორი ორგანიზაცია არის წარმოდეგენილი ამ პროგრამის ფარგლებში. მემორანდუმი გაფორმებულია სააქციო საზოგადოება ლიბერთი ბანკთან, მიკროსაფინანსო ორაგნიზაცია კრისტალთან და ავტოსოფთვეართან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დამატებითი ინტერესი გამოწვეული იყო იმით, რომ მხოლოდ ლიბერთი ბანკთან გაფორმებულ მემორანდუმში იყო მითითებული პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობა, რომლის მიღებაც შეუძლია პარტნიორ ორგანიზაციას მოდულით გათვალისწინებული შედეგების მიღწევის მიზნით. აქედან გამომდინარე, პროფესიულ სტუდენტთა მაქსიმალური რაოდენობის განსაზღვრის მიზნით, ექსპერტებმა განახორციელეს ონლაინ ჩართვა მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრისტალთან. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეხვედრის დროს პარტნიორმა ორგანიზაციამ გამოხატა მზაობაარა უმეტეს 15 პროფესიული სტუდენტი პრაქტიკის ობიექტზე მიღებისა.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს იმ სწავლის შედეგების მიღწევას, რომლებიც გატანილი იქნება პრაქტიკის ობიექტებზე. აქედან გამომდინარე არ ექმნება საფრთხე პროგრამის განხორციელებას.

დარგის ექსპერტმა ნანა ხითარიშვილმა აღნიშნა, რომ პროფესიული მასწავლებლებს, რომლებიც ამ პროგრამისთვის არიან შერჩეულები, აქვთ შესაბამისი გამოცდილება, რომელიც დასტურდება და თავიანთი გამოცდილების საფუძველზე შეუძლიათ სწავლებისას გადასცენ ის საჭირო პრაქტიკული უნარ-ჩვევები და თეორიული ცოდნა, რაც გამოადგებათ პროფესიულ სტუდენტებს შედეგებზე გასასვლელად.
მან ასევე შენიშნა, რომ მატერიალური რესურსი სათითაოდ იქნა გადამოწმებული და დაადასტურა, რომ ყველა საჭირო მატერიალური რესურსი დაწესებულებას აქვს წარმოდგენილი.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა კითხვით, თუ როგორ მოხდა პროფესიული მასწავლებელების კვალიფიკაციის შემოწმება, რაზეც დარგის ექსპერტმა უპასუხა, რომ დოკუმენტაცია იყო გადმოგზავნილი, რითაც დასტურდებოდა მათი კვალიფიკაცია და გამოცდილება. ძირითადად პრაქტიკული მოდულის განამახორციელებელ მასწალებლებს აქვთ ნამუშევარი ბანკებში და შესაბამისად, შეუძლიათ თავისუფლად გადასცენ სტუდენტებს საჭირო ცოდნა. მან საბჭოს თავმჯდომარის კითხვას, განახორციელეს თუ არა ინტერვიუირება, უპასუხა რომ წარმოების ფარგლებში ექსპერტებს პროფესიულ მასწავლებლებთან ინტერვიუები არ განუხორციელებიათ.

საკითხის განხილვის შემდეგ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, თეანა ქუხილავამ, ისაუბრა და მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს მხარდაჭერისა და ნდობისთვის. მისი თქმით, რომ არა ეს მხარდაჭერა და ნდობა, კოლეჯი ამ შედეგს ვერ მიაღწევდა და მან აღნიშნა, რომ ეს ერთგვარი სტიმული იყო დაწესებულებისთვის და ჩართულ მხარეებს დაწესებულების სახელით მადლობა გადაუხადა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „ლაკადაში“ „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 6 (შორენა ჯაფარიძემ, ტექნიკური პრობლემის გამო, ხმის მიცემა ვერ შეძლო)
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „ლაკადაში“ (ს/კ: 242728679) „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

2. **სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ და „გრაფიკული დიზაინის შესრულება“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ თამარ რემიშვილმა, მან აღნიშნა, რომ მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტთან, თეა ბარამაშვილთან ერთად.
ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა პრეზენტაცია და ისაუბრა საგანმანათლებლო დაწესებულების კვოტის შესახებ, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამას „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ საბჭოს მიერ აქვს განსაზღვრული და შეადგენს 40 პროფესიულ სტუდენტს,

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ახალი წარმოების ფარგლებში უკვე იყო 14 აქტიური პროფესიული სტუდენტი.
ექსპერტმა წარმოადგინა ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების საუკეთესო გამოცდილების შესახებ, რომელიც დაწესებულების ოპერატიულ რეაგირებას გულისხმობს საგანმანათლებლო რესურსების შემუშავების მიზნით.

ექსპერტმა ასევე, ისაუბრა წინა ადმინისტრაციული წარმოებს ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციებზე და აღნიშნა, რომ წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მომზადებული დასკვნის თანახმად, დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინდუსტრიული დიზაინის შესრულება" ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებაში შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“, რადგანაც 2.2 კომპონენტი შეფასდა „მეტწილად შესაბამისი“.
მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებული დოკუმენტებისა და დისტანციური ჩართვის საფუძველზე, ზემოაღნიშნული პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის 2.2 კომპონენტი ექსპერტთა მიერ შეფასდა „სრულად შესაბამისად“ და ზემოაღნიშნული პროგრამა არის უკვე „სრულად შესაბამისი“ ავტორიზაციის სტანდარტთან.
შემდეგ ექსპერტმა წარმოადგინა 2.2 სტანდარტი და ისაუბრა წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასებაზე.
კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებამ მიიღო წინა ვიზიტის ფარგლებში მიიღო ორი რეკომენცადია:

რეკომენდაცია 1. გულისხმობს 2.2.1 (5) კომპონენტის გაუმჯობესებებას, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია, რომ დაწესებულებამსასწავლო პროცესის დაწყებამდე უზრუნველყოს მოდულებში - ,,პროდუქციის ციფრული პროექტირება (Autodesk Fussion360)"; ,,CNC დანადგართან მუშაობა“; ,,პრაქტიკული პროექტი - ციფრული პროტოტიპირება“; „მასალათმცოდნეობა ინდუსტრიული დიზაინისთვის“, მითითებული უცხოურენოვანი ლიტერატურის ქართულ ენაზე ადაპტირება, ხოლო მოდულებში ,,დაზგა-დანადგარებთან მუშაობა“ და ,,გაცნობითი პრაქტიკა - ციფრული ხელოვნება“, ლინკებთან ერთად მიუთითოს ქართულენოვანი ლიტერატურა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა რეკომენდაცია და ის საუკეთესო გამოცდილება, რაზეც მან საბჭოს წევრებს მოახსენა, სწორედ ამ რეკომენდაციის განხორციელებას ეხება.

ექსპერტს კითხვით მიმართა საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ყუფუნიამ და დაინტერესდა, ეხებოდა თუ არა ეს ყველა პროგრამას და მოასწრო თუ არა ყველა პროგრამისთვის მასალების შემუშავება დაწესებულებამ, რაზეც ექსპერტმა დაადასტურა, რომ ნამდვილად ყველა პროგრამისთვის აქვს დაწესებულებას შექმნილი სასწავლო რესურსების ქართულენოვანი ვერსია და აქვე აღნიშნა, რომ დარგის ექსპერტი უფრო ვრცლად იტყოდა ამასთან დაკავშირებით, ვინაიდან იგი ასევე წინა წარმოების ფარგლებშიც იმყოფებოდა დაწესებულებაში.
დარგის ექსპერტმა გააკეთა კომენტარი აღნიშნულთან დაკავშირებით და თქვა, რომ საგანმნათლებლო პროგრამაში “ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ 6 მოდულს სასწავლო რესურსად მითითებული ჰქონდა ან ინგლისურენოვანი ვებ-გვერდები ან რუსულენოვანი, ვინაიდან სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობს, რეკომენდირებულად ჩაითვალა, რომ სასწავლო მასალები შემუშავებულიყო ქართულ ენაზე.
ასევე ექსპერტმა აღნიშნა, რომ თვითონ მოდულის განმახორციელებლებმა შეიმუშავეს, თითოეული მოდულისთვის საჭირო ქართულენოვანი ლიტერატურა, რომელიც დალაგებულია სწავლის შედეგების, თემატიკების მიხედვით, რაც მისი თქმით ძალიან მნიშვნელოვანია სწავლის შედეგების მიღწევისთვის. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას უზრუნველყოფილი აქვს ელექტრონული და ამობეჭდილი ვერსიები, რომელიც

ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში. დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს მართლაც საუკეთესო გამოცდილებაა, რომ კოლეჯმა სამ თვეში მოახერხა სამუშაოს განხორციელება და აღნიშნა, რომ ის დეტალურად გაეცნო წარმოდგენილ ლიტერატურას და ის სრულად შეესაბამება სწავლის შედეგებს.

საბჭოს წევრმა, ნინო კაკულიამ კითხვით მიმართა დარგის ექსპერტს, ეს ლიტერატურა სახელმძღვანელოს სახით იყო წარმოდგენილი თუ პრეზენტაციის ფორმატით.
ექსპერტმა უპასუხა, რომ სასწავლო მასალები წარმოდგენილი იყო სახელმძღვანელოს ფორმატით.

დარგის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მასალა ლექციების კურსად არის გაკეთებული და დალაგებულია სწავლის შედეგების მიხედვით, მან აღნიშნა, რომ სახელმძღვანელო აბსოლუტურად ამომწურავად არის გაწერილი ყველა კომპონენტის მიხედვით. მან ასევე აღნიშნა, რომ ქართულ ენაზე არ არსებობს მასალა, მხოლოდ პატარ-პატარა ვიდეოებია, ამიტომ მისი შეფასებით, ეს მართლაც მნიშვნელოვანი მონაპოვარია ამ კოლეჯისთვის და მან დიდი მადლობა გადაუხადა კოლეჯს სიღრმისეული მუშაობისთვის.

საბჭოს წევრის მიერ დასმულ კითხვას ასევე გამოეხმაურა ექპერტი და აღნიშნა, რომ დაწესებულებაც ესწრება საბჭოს სხდომას და ისევე, როგორც მონიტორინგის დროს მოხდა ონლაინ ჩართვა და სახელმძღვანელოების დისტანციური დათვალიერება, საბჭოს სხდომაზეც იქნებოდა შესაძლებელი დაწესებულებას წარმოედგინა სასწავლო მასალები ფიზიკური სახით, რაზეც დაეთანხმა საბჭოს წევრი და აღნიშნა, რომ ეს ძალაინ კარგი იქნებოდა, ვინაიდან მისი თქმით, სავარაუდოდ არ არსებობს ამ დანადგარებთან მუშაობის წესები და საინტერესო იყო როგორ შეიმუშავეს სახელმძღვანელოები, რამდენიმე მასალის გამოყენებით, წიგნებით თუ უბრალოდ დანადგარს მოყოლილი ახსნა განმარტებითი დოკუმენტის საფუძველზე.

აღნიშნულ საკითხზე დარგის ექსპერტმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ სახელმძღვანელოს შემუშავება არ გულისხმობდა დანადგარების ახსნა განმარტებითი დოკუმენტაციის გამოყენებას, არამედ დაწესებულებას სასწავლო შედეგების მიხედვით ქონდა შემუშავებული მასალა, იმის მიხედვით თუ რა თეორიულად ცოდნა უნდა მიაწოდონ პროფესიულ სტუდენტებს, ხოლო რაც პრაქტიკულად უნდა აჩვენონ ის პრაქტიკულ ნაწილში ისედაც ჰქონდათ გაწერილი.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნულთან დაკავშირებით გააკეთა კომენტარი და თქვა, რომ წარმოუდგენელია, რომ ასეთი დიდი მოცულობის მასალის მომზადება მოასწრეს, რაზეც ექსპერტი დაეთანხმა და თქვა, რომ სწორედ ამიტომ წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული საკითხი, როგორც საუკეთესო გამცდილება.

საბჭოს სხდომაზე შემდეგ ისაუბრა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის მართვის მენეჯერმა და აღნიშნა, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში აღნიშნულ მოდულებზე სასწავლო მასლებში მითითებული იყო ლინკები და ინგლისურენოვანი ან რუსულენოვანი სახელმძღვანელოები, როდესაც რეკომენდაციები იქნა შემუშავებული, რომ ეს მასალა ქართულ ენაზე ყოფილიყო გაკეთებული, დაწესებულებამ გააკეთა სასწავლო კურსები ამ ინგლისურენოვანი და რუსულენოვანი ლიტერატურიდან სწავლის შედეგების შესაბამისად. მან აქვე აღნიშნა, რომ ეს დიდი სახელმძღანელოები იყო და ამოღებულ იქნა ის საჭირო მასალები, რომელებიც კონკრეტულად ამ კურსებისთვისაა საჭირო და გადის სწავლის შედეგებზე. ხარისხის მენეჯერი აღნიშნავს, რომ კურსმა ყველა სწავლის შედეგი მოიცვა, გარდა ამისა, შეიქმნა დამატებით 12 ვიდეო გაკვეთილი.

საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ მისთვის ახლა გასაგები გახდა და აღნიშნა, რომ მასალა დანადგარებთან მუშაობისა საკმაოდ ვრცელი და მოცულობითია და ამის თარგმნაც ასევე საკმაოდ რთული, ხანგრძლივი და შრომატევადი პროცესია და შეაჯამა, რომ დაწესებულებამ ამ უცხოენოვანი მასალებიდან ამოიღო მარტო სასწავლო შედეგების შესაბამისი მასალები და მოახდინა მისი თარგმნა და მოარგო ის სწავლის შედეგებზე გასვლისთვის აუცილებელ საკითხებს.
საკითხთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ასევე დაწესებულების დირექტორმა და აღნიშნა, რომ რეალურად იმ ლინკებიდან რაც უნდა წაკითხულიყო ლექციების პორცესში დაწესებულებამ იმის მიხედვით დაამზადა „სალექციო სასწავლო კურსი“, და მან საბჭოს წევრებს წარუდგინა და დაათვალიერებინა მათ მიერ შექმნილი სახელმძღვანელო და აქვე აღნიშნა, რომ ზოგიერთი სახელმძღვანელო სანტიმეტრზე დიდი სისქის არის და არის ილუსტრირებული და ფერადი. ასევე, აღნიშნა, რომ ამობეჭდილია რამდენიმე ეგზემპლარი და ელექტრონული ვერსიები დადებულია ბიბლიოთეკაში და პროგრამის სტუდენტებისთვის ინდივიდუალურად არის ჩაწერილი კომპიუტერებში. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა, რომ სახელმძღვანელო შედგენილია წესების დაცვით, ახლავს სარჩევი, ასევე სქოლიოში მითითებულია გამოყენებული ლიტერატურა და აქვე აღნიშნა, რომ ერთი კონკრეტული საკითხის მომზადებისთვის არ მომხდარა მხოლოდ ერთი ლინკის ან სახელმძღვანელოს თარგმნა, არამედ კომპლექსურად იქნა მასალები გამოყენებული. მან აღნიშნა, რომ მისი მოთხოვნა იყო, რომ სწავლის შედეგების იდენტიფიცირება მომხდარიყო, რათა გაადვილებულიყო სტუდენტებისთვის სწავლის პროცესი და ასევე, კონკრეტული სწავლის შედეგის მოძიება სტუდენტისთვის ყოფილიყო ადვილი. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების პედაგოგი კოვიდ ეპიდემიის დროს რაჭაში იმყოფებოდა და 12-მდე ვიდეო გაკვეთილი ჩაწერა და მისი შეფასებით თავისუფლადაა შესაძლებელი ეს გამოყენებულ იქნას ონლან სწავლებისთვის.
ასევე მან აღნიშნა, რომ გრაფიკული დიზაინის პროგრამას სხვადასხვა ორგანიზაცია ახორციელებს, მანამდე არსებობდა საგნობრივი პროგრამა კომპიუტერის გრაფიკოსი თუ სხვა და ქართულენოვანი ლიტერატურა ყოველთვის პრობლემა იყო და მისი შეფასებით ეს გაუადვილებს სტუდენტებს აითვისონ აღნიშნული პროგრამები. მისი შეფასებით გაკეთდა ძალაინ კარგი საქმე და ამისთვის მან დიდი მადლობა გადაუხადა ჩართულ მხარეებს.

აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ ექსპერტმა გააგრძელა საბჭოს წინაშე პრეზენტაციის წარდგენა და ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემულ მეორე რეკომენდაციაზე.
რეკომენდაცია 2. გულისხმობს2.2.1. კომპონენტის გაუმჯობესებას, შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია, რომდაწესებულებამ ,,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნის წესში“ გაწეროს პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული რეკომენდაცია შეაფასა, როგორც შესრულებული, ექსპერტის თქმით მათ გადმოეგზავნათ დოკუმენტაცია - ,,პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნის წესი“,სადაც გაწერილია პროგრამის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები.

აღნიშნულის შემდეგ ექსპერტმა დეტალურად გაიარა თითოეული ქვესტანდარტი.

წინა წარმოების დროს დაწესებულებამ ექსპერტებს წარუდგინა შპს ,,მაი მობაილ+“-სთან 2020 წლის 18 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულება №33, რომელიც ითვალისწინებდა ,,შტატივიანი ხელოვნური განათება“ და ,,რეიშინა (სახაზავი 1მ. პლასტმასის ანხის რეიშინა 2 როლიკით)“-ს შეძენას, ხელშეკრულებაში მიწოდების ვადად განსაზღვრულია 2020 წლის 1 სექტემბერი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა შეისწავლეს დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტები და მიიღეს ინფორმაცია, რომ შპს „მაი

მობაილ+“-მა უზრუნველყო აღნიშნული მატერიალური რესურსის მიწოდება დაწესებულებისთვის. დაწესებულებაში მატერიალური რესურსის არსებობა ექსპერტებმა გადაამოწმეს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებითაც.
ექსპერტმა ასევე, ისაუბრა პროქტიკის განმახორციელებელი ობიექტების შესახებ და აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება 7 საწარმოსთან:

- შპს „დაზგა“ - 2 სტუდენტი.
- შპს „ვესტა“ – 15 სტუდენტი.
- შპს ,,საგამომცემლო სარეკლამო კომპანია საუნჯე“-4 სტუდენტი.
- შპს ,,სეზანი“-15 სტუდენტი.
- შპს ,,სტაგი პრინტი“-20 სტუდენტი;
- შპს ,,FLEXMEDIA“ - 5 სტუდენტი.
- სსიპ ,,საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“-5 სტუდენტი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ დარგის ექპერტი თავად იმყოფებოდა წინა ვიზიტის დროს და თვითონაც ნახა ეს საწარმოები. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პრაქტიკის ობიექტებზე ჯამურად შესაძლებელია 66 პროფესიულისტუდენტის მიღება, მაშინ როცა პროგრამაზე ,,ინდუსტრიული დიზაინის შესრულება“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არის 40 პროფესიული სტუდენტი. აქედან გამომდინარე, პროგრამა აბსოლუტურად აკმაყოფილებს სწავლის შედეგების მიღწევას, როგორც დაწესებულებაში, ისე პრაქტიკის ობიექტებზე.

ექსპერტმა შემდეგ ისაუბრა ადამიანურ რესურსებზე და აღნიშნა, რომ 22 პროფესიული განათლების მასწავლებელი არის ჩართული პროგრამის განხორცილებაში, მათ შორის - 5 ზოგადი მოდულისთვის - 11, 15 პროფესიული მოდულისთვის - 9 და 2 ქართული მოდულისთვის - 2 პირი. ასევე, არის პროგრამის ხელმძღვანელი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა პერსონალის პირადი საქმეები, ასევე ექსპერტებმა განახორციელეს ინტერვიუ და მიღებული ინფორმაციის თანახმად შეფასდა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პროფესიულ მასწავლებელებს აქვთ პროფესიული სტუდენტებისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების სათანადო კომპეტენცია.
ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ საგანმნათლებლო რესურსებზე უკვე ისაუბრა, და დაამატა რომ სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით ექსპერტები ესაუბრნენ ბიბლიოთეკარს და დარწმუნდნენ, რომ რესურსები ნამდვილად ხელმისაწვდომი იყო სტუდენტებისთვის.

ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად; მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, რაც საშუალებას აძლევს სსსმ პირებს შეუფერხებელი წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. ექსპერტმა აქვე აღნიშნა, რომ იგი თავად არის ნამყოფი დაწესებულებაში და ადასტურებს ლიფტის არსებობას.
ასევე ექსპერტმა აღნიშნა, რომ სსსმ პირებისათვის, საჭიროებიდან გამომდინარე ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება, რომლის ფარგლებში შესაძლებელია აითვისონ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.
ექსპერტმა ასევე ისაუბრა პროგრამის ბიუჯეტზე. მან აღნიშნა, რომ რენტაბელობის ზღვარი განსაზღვრულია მინიმუმ 5 პროფესიული სტუდენტით. შემოსავლების ნაწილში, ერთი სტუდენტის ვაუჩერული დაფინანსება შეადგენს 8320 ლარს, 1 თვის პროგრამული დაფინანსება შეადგენს 683 ლარს.

ბიუჯეტი მოიცავს ხარჯების ნაწილსაც, მათ შორისაა პროფესიული განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება, სასწავლო მასალა და ნედლეული, ადმინისტრირება, საქონელი და მომსახურება.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტების მიერ შემუშავებულ იქნა ერთი განმავითარებელი რეკომენდაცია და აქვე აღნიშნა, რომ ეს ორივე პროგრამის ფარგლებში იგივეა.
რეკომენდირებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს საგანამანთლებლო პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის დატვირთვის ამსახველი დოკუმენტი, იმისათვის რომ ეფექტურად მოხდეს თითოეული განმახორციელებელი პერსონალის კვირეული დატვირთვის დადგენა.
მან ახსნა, რომ დამატებით იქნა მოთხოვნილი მსგავსი დოკუმენტი, რომ დათვლილიყო მასწავლებლების დატვირთვა. დაწესებულების მხრიდან მოწოდებულ იქნა დოკუმენტები, რომელებიც ქონდათ. ეს იყო ხელფასისითვის გამზადებული უწყისები თუ ექსელის ფაილები, თუმცა რჩევის სახით მაინც იქნა მიცემული დაწესებულებისთვის, რომ გაკეთებულიყო ერთი დოკუმენტი, სადაც ასახული იქნება მასწავლებლების დატვირთვის სქემა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულება დაეთანხმა ამ განმავითარებელ რეკომენდაციას.

ექსპერტმა დაასრულა საბჭოს წინაშე პრეზენტაციის წარდგენა და დარგის ექსპერტს მიმართა თუ დაამატებდა რაიმეს აღნიშნულ პროგრმასთან დაკავშირებით.
დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთს დაამატებდა, ახალი წარმოების ფარგლებში განხორცილებული მონიტორინგის დროს, არა მარტო დოკუმენტაციისა და ფოტო მასალაზე დაყრნდობით, არამედ ვიდეო ჩართვის საშუალებით დასტურდება, რომ დაწესებულებას ყველა საჭირო რესურსი აქვს ადგილზე მობილიზებული და რეკომენდაცია შერულებულია.

საბჭოს თავჯდომარემ ექსპერტს მიმართა კითხვით, იყო თუ არა განსხვავება „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროგრამის ფარგლებში განხორცილებული მონიტორინგის შედეგების თვალსაზრისით, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ თვისობრივი განსხვავება არ ყოფილა, მხოლოდ განსხვავდება პრაქტიკული ობიექტების რაოდენობა. მან აღნიშნა, რომ ამ პროგრამის ფარგლებშიც წინა ვიზიტის დროს გაცემული რეკომენდაციები შესრულებულია და განმავითარებელი რეკომენდაციაც იგივეა.

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინაატრს, ნინო სტეფანიშვილს მიმართა ხომ არ დაამატებდა რაიმეს მონიტორინგთან დაკავშირებით. ქალბატონმა ნინომ დაამატა, რომ მართლაც აღნიშვნის ღირსია ის, რაც დაწესებულებამ გააკეთა,მან გაიხსენა, რომ დაწესებულება google drive-ზე ჩაწერა სრული მასალა, რომ ექსპერტებსაც ენახათ, რადგან ძალიან რთულად გადმოსაგზავნი იყო. ასევე მან აღნიაშნა, რომ დისტანციურ რეჟიმში ძალაინ რთულია პროცესების წარმართვა, დოკუმენტების ატვირთვა და ა.შ.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, და ასევე გამოთქვა მოსაზრება, რომ ორივე პროგრამისთვის ეყარათ კენჭი, ვინაიდან არ არსებობდა განსხვავება, მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე.
საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები და საბჭო დაეთანხმა თავმჯდომარის პოზიციას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ (ს/კ: 200279448) „ინდუსტრიული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრის“ (ს/კ:200279448) „გრაფიკული დიზაინის შესრულების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ (თბილისი) მონიტორინგის შესახებ საკითხისგანხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ალინა კუპრავამ, რომელიც მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტთან გიული გურგენიძესთან და უმაღლესი განათლების ექსპერტთან ნატო ალავიძესთან ერთად.
ექსპერტმა საბჭოს ინფორმაცია მიაწოდა წინა ადმინისტრაციული წარმოების დეტალების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი ქონდა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დოკუმენტაცია, ვინაიდან „საფინასო სერვისების“ ავტორიზაციის დროს დაწესებულება შეფასებული იყო მეორე სტანდარტთან მეტწილად შესაბამისი, ამიტომ ავტორიზაციის ექსპერტებს დაევალათ მეორე სტანდარტის, 2.2 კომპონენტის შემოწმება .
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, ჩაინიშნა დისტანციური ვიზიტი, რომელიც ჩატარდა 2020 წლის 2 ნოემბერს.

დისტანციური ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელ პირს, ხარისხის მენეჯერს, პროგრამის ხელმძღვანელს, განმახორციელებელ პირებს და ბიბლიოთეკარს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ასევე დისტანციურად მოხდა მატერიალური რესურსების დათვალიერება.

ექსპერტმა ისაუბრა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციაზე. დაწესებულებამ წინა ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიიღო 1 რეკომენდაცია.

რეკომენდაცია - შედეგების სრულყოფილად მიღწევის მიზნით, რადგან „ალტას“ დემო ვერსიით სრულყოფილად ვერ ხორციელდება უნაღდო ანგარიშწორება და სადეპოზიტო მომსახურების რეალიზება, სასურველია, რომ საწარმოო პრაქტიკის გარკვეული მონაკვეთის გავლა მოხდეს უშუალოდ ბანკში.

ექსპერტმა, აღნიშნა, რომ როგორც დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით დადგინდა, მიმდინარეობს რეკომენდაციის გათვალისწინებით მოლაპარაკებები ბანკებთან, თი ბი სი ბანკი და საქართველოს ბანკი და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება უზრუნველყოფილი იქნება „საწარმოო პრაქტიკის“ მოდულის დაწყებამდე.

შემდეგ ექსპერტმა ისაუბრა პროგრამის შესახებ ინფორმაციაზე და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს სხდომის შემდეგ პროგრამაში ცვლილებები განხორციელებული არ არის. შემდეგ კი ისაუბრა იმ კომპონენტზე, რომლის ფარგლებშიც დაინიშნა მონიტორინგი. როგორც ექსპერტი აღნიშნავს დაწესებულებაში დანიშნული მონიტორინგი შეეხებოდა მატერიალურ რესურსს. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას წინა წარმოების ფარგლებში შეძენილი ჰქონდა ნაწილი მატერიალური რესურსებისა და ნაწილი შესყიდვის პროცესში იყო. დაწესებულებამ ახალი წარმოების ფარგლებში წარმოადგინა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ასევე, ექსპერტი აღნიშნავს, რომ დისტანციური ვიზიტის ფარგლებში მოხდა რესურსების დათვალიერება. ექსპერტებმა ვირტუალური დათვალირების შემდეგ მონაცემები შეადარეს შესყიდვის დოკუმენტაციას და წინა ექსპერტთა დასკვნას, რისი ანალიზით დგინდება, რომ პროგრამა სრულად არის უზრუნველყოფილი მატერიალური რესურსებით.
ექსპერტმა დაასრულა საბჭოს წინაშე გამოსვლა და დარგის ექსპერტს სთხოვა, თავისი კომპეტენტურობიდან გამომდინარე ესაუბრა მატერიალურ რესურსებზე, ვინაიდან ვიზიტის ფარგლებში თითოეული რესურსი დეტალურად იქნა გადამოწმებული.
დარგის ექსპერტმა ისაუბრა მატერიალურ რესურებზე და აღნიშნა, რომ თითოეული რესურსი, რომელიც წარმოდგენილი იყო საგანმანათლებლო პროგრამაზე „საფინანსო სერვისები“, ეს რესურსები იყო: ფულის სათვლელი, დეტექტორი, შტამპები, დასალუქი საშუალებები, ფულის მულაჟები, რეზინები, გამადიდებელი ხელსაწყო - ყველაფერი, რაც დაწესებულებას აკლდა, შესყიდულია, რაც დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტების გადამოწმებით. დარგის ექსპერტი ასევე აღნიშნავს, რომ ქუთაისის ლოკაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა ვიდეო მასალაც ნახარითაც დგინდება, რომ ის მატერიალური რესურსები, რაც მათ არ ჰქონდათ, შეძენილია.
დარგის ექსპერტმა ასევე ისაუბრა პროფესიულ მასწავლებლებზე და აღნიშნა, რომ პროფესიული მასწავლებლები არ წარმოადგენენ დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალს, არიან დარგის პრაქტიკოსები, რაც მისასალმებელია.
ასევე ეექსპერტმა დაამატა, რომ დარგის სპეციალისტებს აქვს ბანკში მუშაობის გამოცდილება, რაზეც დაეთანხმა დარგის ექსპერტი და აღნიშნა, რომ პრაქტიკული ნაწილის მასწავლებლები ამჟამადაც დასაქმებულები არიან ბანკში.
დარგის ექსპერტმა კომენტარი გააკეთა წინა წარმოების ფარგლებში გაცემულ რეკომენდაციაზე და აღნიშნა, რომ როდესაც იქნა გაცემული რეკომენდაცია, საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ პირველი ვიზიტის ფარგლებში ადგილზე შეხვდა ასევე

თიბისი ბანკის წარმომადგენელსაც, რომელმაც გამოთქვა სურვილი, რომ მონაწლეობას მიიღებდნენ მემორანდუმის გაფორმებაში, ექსპერტმა აქვე აღნიშნა, რომ შექმნილი ვითარებიდან გამომინარე პროცესები გართულებულია, თუმცა მიმდინარეობს მოლაპარაკებები, და აქვე დაამატა, რომ ექსპერტებს დაწესებულების ხელმძღვანელმა მიაწოდა ინფრმაცია, რომ მოლაპარაკებები ასევე მიმდინარეობს საქართველოს ბანკთან.
ექსპერტმა გააგრძელა პრეზენტაციის წარდგენა და შეაჯამა წინა წარმოების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციის შეფასება და აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტების მიერ კომპონენტი შეფასებულ იქნა,როგორც სრულად შესაბამისი.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნატო ალავიძემ, რომელიც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტს წარმოადგენს, აღნიშნა, რომ პროფესიული პროგრამების განხორციელება აკადემიური პროგრამების განხორციელებას ხელს არ უშლის, ვინაიდან პროფესიული განათლების მიმართულებით დაწესებულებას ჰყავს სხვა განმახორციელებლები და ასევე, განსხვავებულია სივრცეც.

ექსპერტების მიერ დასკვნის წარდგენის შემდეგ საბჭოს მიმართა დაწესებულების წარმოამადგენელმა. მან დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, ცენტრს და მათ შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომ მიუხედავად შექმნილი რთული ვითარებისა, ყველა მხარის ჩართულობით მაქსიმალური იქნა გაკეთებული, რომ პრობლემა ყოფილიყო აღმოფხვრილი. მან ასევე ისაუბრა მემორანდუმებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ბანკებთან ხელშეკრულებების გაფორმება საკმაოდ დიდ ბიუროკრატიულ პროცესს უკავშირდება, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ მოლაპარაკება თითქმის ბოლო ეტაპზეა გადასული, მისი შეფასებით მხოლოდ რამდენიმე იურიდიული დეტალია შესათანხმებელი და გამოთქვა სურვილი და მოლოდინი, რომ ეს მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდება. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა მატერიალურ რესურსებზე და მან აღნიშნა, რომ წინა წარმოების ფარგლებშიც მიმინარეობდა შესყიდვის პროცედურები და ისევ პანდემიის გამო პრობლემა შეიქმა მოწოდებასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში უპრობლემოდ იქნა წარმოდგენილი, როგორც შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე ჩართვაზე წარმოდგენილი იქნა თავად მატერიალური რესურსებიც.
საუბრის ბოლოს მან კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა ყველას, ვინც ამ პროცესებშია ჩართული და აღნიშნა, რომ ძალიან მისასალმებელი ფაქტია, რომ დაწესებულებები არ წყვეტენ მუშაობას, სისტემის განვითარებისათვის. მან ასევე აღნიშნა, რომ სასწავლო პროცესის ერთხელ უკვე შეჩერებამ დიდი ზიანი მიაყენა სწავლების პროცესს და გამოხატა იმედი, რომ უფრო დიდი გამოცდილებით პრობლემის უფრო მარტივად დაძლევა გახდება შესაძლებელი.

თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საფინანსო სერვისების“ (თბილისი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,
შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ს/კ: 204864548) „საფინანსო სერვისების“ (თბილისი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საფინანსო სერვისები“ (ქუთაისი) მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავჯდომარემ ალინა კუპრავამ, რომელიც მონიტორინგზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტთან გიული გურგენიძესთან და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთან ნატო ალავიძესთან ერთად.
საბჭოს თავჯდომარემ ექსპერტს მიმართა კითხვით, რაიმე ტიპის განსხვავება ხომ არ იყო ლოკაციების მიხედვით და შეძელო თუ არა დაემატებინა განსხვავებული ინფორმაცია.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორივე ლოკაციაზე ერთნაირი რეკომენდაციები იყო გაცემული რესურსების ნაწილში. ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა ფოტო მასალა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ 2.2 კომპონენტი მონიტორინგის წარმოების ფარგლებში სრულად არის შეფასებული. ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა შესყიდული რესურსების ფოტო მასალა და ასევე წარმოადგინა სასწავლო გარემოც. მან ასევე აღნიშნა, რომ ქუთაისის ლოკაციაზე უმაღლესი განათლების პროგრამები არ ხორციელდება, შესაბამისად, პროფესიული განათლების პროგრამების განხორციელებას ხელი არ ეშლება.

თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „საფინანსო სერვისების“ (ქუთაისი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ს/კ: 204864548) „საფინანსო სერვისების“ (ქუთაისი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

5. ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „სასტუმრო მომსახურება“ და „სარესტორნო მომსახურება“ მონიტორინგის შესახებ საკითხისგანხილვა

ა(ა)იპ -კოლეჯ „იკაროსში „სასტუმრომომსახურების“ პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით პრეზენტაცია წარადგინეს ექსპერტმა ზაირა ბერიძემ და დარგის ექსპერტმა ნანა შათირიშვილმა.
ექპერტმა წარუდგინა პრეზენტაცია საბჭოს წევრებს და დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პროცესი წარმოების ორივე პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით იდენტური იყო და ბევრი განსხვავება პროგრამების შემოწმების პროცესში არ ყოფილა და ამიტომ ექსპერტმა აღნიშნა, რომ პრეზენტაციას დაიწყებდა „სასტუმრო მომსახურებით“ და გაგრძელებდა „სარესტორნო მომსახურებით“.
ექსპერტმა საბჭოს გააცნო ვიზიტის მიზანი და აღნიშნა, რომ მონიტორინგი განხორციელდა ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე და მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ექსპერტებს შეემოწმებინათ ინტეგრირებული მოდულების მიმართულებით რესურსებისა და პედაგოგების შესაბამისობის დადგენა სტანდარტთან მიმართებით.

ექსპერტმა ისაუბრა მონიტორინგის განხორციელების პროცესზე და აღნიშნა, რომ წარმოების ფარგლებში მოხდა დაწესებულების მიერ მობილიზებული რესურსების გადამოწმება. ასევე, ექსპერტებმა აწარმოეს გასაუბრება ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებთან , რომლებსაც მოცემული ეტაპისთვის უკვე დასრულებული ჰქონდათ ტრენინგები (განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ორგანიზებული), რაზეც წინა წარმოების ფარგლებში ასევე იყო გაცემული რეკომენდაცია. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ მატერიალური რესურსი, რომელიც წინა წარმოების ფარგლებში არ იყო მობილიზებული დაწესებულების ბაზაზე, ახალი წარმოების ფარგლებში უკვე ადგილზე იყო.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის მომენტისთვის „სასტუმროს მომსახურების“ პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოპოვებული ჰქონდა 16 პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის 7 პროფესიული სტუდენტი იყო ჩარიცხული ინტეგრირებულ პროგრამაზე.
ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქვს, რომ მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტებს ხარვეზი არ დაუფიქსირებიათ, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაცია არ გაუცია. აქვე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ორივე პროგრამის ფარგლებში არჩევით მოდულად წარმოდგენილი აქვს საწარმოო პრაქტიკის მოდული და შესაბამისად, დაწესებულებას აქვს ხელშეკრულებები გაფორმებული ოთხ სხვადასხვა სასტუმროსთან: სასტუმრო ჰუალინგი, სასტუმრო ბილტმორ თბილისი, სასტუმრო გოლფ თბილის ჰოტელი და სასტუმრო ქრონ პალასი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ხელშეკრულების თანახმად აქვთ შესაძლებლობა, რომ პარალელურად, თითოეულ სასტუმროში 15-15 პროფესიული სტუდენტის პრაქტიკა განხორციელდეს. ასევე, ხელშეკრულების თანახმად არის ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მაქსიმალურად იქნება თანამშრომლობა საგანმანათლებლო დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტებს შორის. ხელშეკრულებაში ასევე იყო ჩანაწერი, რომ სანამ, უშუალოდ პრაქტიკის განხორციელება დაიწყება, ერთი თვით ადრე დაწესებულება მიაწვდის ინფორმაციას კომპანიებს მომავალი სტუდენტების შესახებ და ასევე, გამოითხოვს ინფორმაციას იმ კონკრეტული პირის შესახებ, ვინც კურირებას გაუწევს პრაქტიკის პერიოდში ბაზაზე მობილიზებულ პროფესიულ

სტუდენტებს. ექსპერტის შეფასებით, აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანია და უზრუნველყოფს, რომ პრაქტიკის განხორციელების პროცესში რაიმე ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში დროულად მოხდეს ჩარევა, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულების ასევე პრაქტიკის განმახორციელებელი კომპანიის მხრიდან.
ექსპერტმა საბჭოს წარმოუდგინა აღჭურვილობის ფოტო მასალა, რომელიც დაწესებულებაში დისტანციური ვიზიტის ფარგლებში იქნა მოპოვებული. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად დისტანციური ჩართვისა, ექსპერტებმა მაინც შეძლეს დეტალურად შეესწავლათ რესურსები და ამისთვის დიდი მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს, რადგან კარგად იყვნენ მობილიზებულები და ცდილობდენ წარმოეჩინათ ყველა ის აღჭურვილობა, რაც პროგრამის განხორციელებისთვის იყო საჭირო.
ექსპერტმა საბჭოს წარუდგინა, როგორც ბიოლოგიის, ასევე ფიზიკის და ქიმიის ლაბორატორიების აღჭურვილობა და ასევე, წარმოადგინა ინტეგრირებული მოდულის აუდიტორია, სადაც განთავსდება ზემოთხსენებული აღჭურვილობები და ჩატარდება სასწავლო პროცესი. მან აღნიშნა, რომ აუდიტორია აღჭურვილია 15 პროცესიული სტუდენტისთვის და შესაბამისად, ჯგუფი კომპლექტდება 15-15 პროფესიული სტუდენტით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის განხორციელებამდე 2.2. კომპონენტი შეფასებული იყო, როგორც მეტწილად შესაბამისი, თუმცა ახალი წარმოების ფარგლებში კომპონენტი ექსპერტების მიერ შეფასებულ იქნა, როგორც სრულად შესაბამისი და პროგრამის განხორციელებას საფრთხე არ ემუქრება.
ექპერტმა ასევე ისაუბრა იმაზე, რომ მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტები ესაუბრნენ როგორც პროგრამების ხელმძღვანელებს, ასევე ინტეგრირებული მოდულის განმახორციელებლებს და ექსპერტი აღნიშნავს, რომ მათთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი მზად არიან პროგრამის განხორციელებისთვის.

ექსპერტმა დაასრულა პრეზენტაცია და აღნიშნა, რომ საბჭოს ესწრებოდა ასევე მონიტორინგზე მასთან ერთად მყოფი დარგის ექსპერტი და მასაც შეეძლო თავის მხრივ განევრცო უშუალოდ დარგის მიმართულებით არსებული ინფორმაცია.

დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ სრულად ეთანხმება ავტორიზაციის ჯგუფის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციას და საბჭოს დაუდასტურა, რომ წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შერულება დისტანციური მონიტორინგის ფარგლებში დეტალურად იქნა გადამოწმებული.

თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ციხისელმა საბჭოს თავმჯდომარეს მიმართა ერთი ინფორმაციით, მან აღნიშნა რომ კოლეჯთან დაკავშირებით გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღის განსაზღვრა უწევს საბჭოს და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იქედან გამომდინარე, რომ ზოგადად შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე უფრო მეტი დროის მიცემა უწევს სამსახურს ექსპერტებისთვის დასკვნის პროექტის შესამუშავებლად, რაც მოიცავს სხვადასხვა ეტაპებს, მათ შორის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის გამოთხოვას, ონლაინ გასაუბრებებს და ჩართვებს და ასევე, საჭიროების შემთხვევაში დამატებითი დოკუმენტაციის მიღებას, შესაბამისად, ცენტრი განსაზღვრავს შედარებით დიდ ვადებს აღნიშნული პროცესების სრულად და ხარისხიანად

წარმართვისათვის.ამდენად, აღნიშნულ კოლეჯთან დაკშირებით სამსახური აყენებს შუამდგომლობას, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს სხდომის დღიდან - 2020 წლის 27 ნოემბრიდან.

საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა სამსახურის შუამდგომლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსში“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ -კოლეჯ „იკაროსში“ (ს/კ: 211351071) „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

ექსპერტების მიერ ა(ა)იპ - კოლეჯ „იკაროსში“ „სასტუმრო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის დასკვნის წარდგენის შემდეგ, ექსპერტმა ისაუბრა ამავე კოლეჯში მეორე საგანმანათლებლო პორგრამის „სარესტორნო მომსახურების“ მონიტორინგის განხორციელების შესახებ და აღნიშნა, რომ განსხვავებული წარმოება არ ყოფილა. მან ამ შემთხვევაშიც გააცნო საბჭოს „სარესტორნო მომსახურების“ საგანმანათლებლო პროგრამის აქტიურ სტუდენტთა რაოდენობა და აღნიშნა, რომ აქტიურ პროფესიულ სტუდენტთა რიცხვი შეადგენს 13-ს და აქედან 7 არის ინტეგრირებული პროგრამის პროფესიული სტუდენტი.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მონიტორინგის ფარგლებში დაწესებულებისთვის რეკომენდაციები არ ყოფილა გაცემული ექსპერტების მიერ და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაშიც ანალოგიური პრაქტიკის ობიექტებით სარგებლობს დაწესებულება.
ექსპერტმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია ასევე, პრაქტიკის ობიექტზე პროფესიული სტუდენტების მიღების შესაძლებლობის შესახებ და აღნიშნა, რომ იმის გათვალისიწინებით, რომ პრაქტიკის ობიექტებიროტაციის პრინციპით მუშაობენ, ისინი თავისუფლად მიიღებენ პროფესიულ სტუდენტებს. შესაბამისად, პროგრამების განხორციელების ეტაპზე ხელისშემშლელი ფაქტორები არ იქნება გამოვლენილი.
მან ასევე ისაუბრა აღჭურვილობის ნაწილზე და აღნიშნა, რომ ამ პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ექსპერტების მიერ დეტალურად იქნა დათვალიერებული და შესწავლილი მატერიალური რესურსები და აქვე აღნიშნა, რომ მას დაეხმარა მისი პირადი გამოცდილებაც, ვინაიდან მის დაწესებულებაშიც ხორცილდება ეს პროგრამა და მას ქონდა ინფორმაცია ამ აღჭურვილობების შესახებ და შესაბამისად უფრო გაუმარტივდა მონიტორინგის დისტანციურად წარმოების პროცესი.
ექსპერტმა საბჭოს მიმართა, რომ ეს იყო ის ძირითადი ინფორმაცია, რაც შეიძლებდა წარმოედგნა ამ პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში და გამოთქვა მზაობა ეპასუხა ყველა კითხვაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ექსპერტის მიერ მონიტორინგის დასკვნის წარდგენის შემდეგ საბჭოს სხდომაზე ისაუბრა დაწესებულების წარმომადგენელმა და მან პირველ რიგში მადლობა გადაუხადა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გვერდში დგომისთვის. მან აღნიშნა, რომ პანდემიასთან დაკავშირებული პროცესების გამო გართულდა ინვენტარის მიღების პროცესი, ვინაიდან ძირითადად ეს აღჭურვილობა ჩამოდიოდა ჩინეთიდან და შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე იყო პრობლემა. თუმცა მიუხედავად ამისა, მაინც მოესწრო მისი დროული ჩამოტანა და დაწესებულების ბაზაზე განთავსება. დაწესებულების წარმოამადგენელმა ასევე მადლობა გადაუხადა ექსპერტებს და აღნიშნა, რომ პროცესმა წარმატებით ჩაიარა.

დარგის ექსპერტმა პროგრამასთან დაკავშირებით დაამატა ინფომაცია იმის შესახებ, რომ პრაქტიკის ობიექტები წარმოდგენილნი არიან ფართო შესაძლებლობების სასტუმროებით, პრაქტიკა ხორციელდება სხვადასხვა დეპარტამენტებში სტუდენტების განაწილების გზით. ექსპერტის შეფასებით, კოლეჯი სრულად შესაბამისია 2.2 კომპონენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ჰქონდათ თუ არა დამატებითი კითხვები.
საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ კითხვით მიმართა როგორც ექსპერტებს, ასევე დაწესებულების წარმომადგენლებს. მან იკითხა იყო თუ არა დაწყებული სასწავლო პროცესი ამ პროგრამაზე, რაზეც ესპერტმა უპასუხა, რომ ვიზიტის დროს სასწავლო პროცესი დაწყებული არ იყო.
საბჭოს წევრმა კიდევ ერთი კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ აპირებდნენ სასწავლო გეგმაში რაიმე ტიპის ცვლილების შეტანას, იმის გათვალისიწინებით, რომ თუ კოვიდ პანდემიიდან გამომინარე პროცესები გაგრძელდება, ხომ არ შეექმნება საფრთხე მომავალში პროგრამის განხორციელებას და საბჭოს წევრმა ასევე კითხვით მიმართა ესპერტს, წარმოების ფარგლებში, ხომ არ მოუპოვებია ამასთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაცია, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მისი შეფასებით ერთი კვირის წინანდელი ინფორმაციით დღეს ვეღარ შემოიფარგლებიან, ვინაიდან რეკომენდაციები კოვიდთან დაკავშირებით დღითი დღე იცვლება და სხვა ფორმატში გადადის, ამიტომ მან აღნიშნა, რომ ვერ შეძლებდა ზუსტი ინფორმაციის გაცემას.
აღნიშნულ კითხვაზე საბჭოს წევრს უპასუხა დაწესებულების წარმომადეგენელმა და აღნიშნა, რომ სასწავლო გეგმის მოდიფიცირება ამ ეტაპისთვის არ უწევს დაწესებულებას, რადგან პრაქტიკული კომპონენტებისთვის მომზადება უკვე დაწყებული აქვთ - დაწყებულია მასტერკლასების გადაღება. თეორიული კომპონენტი ძირითადად წარიმართება დისტანციურ რეჟიმში, ხოლო, პრაქტიკული ნაწილი ისეა დაგეგმილი, რომ რაც შეიძლება იყო დისტანციურად მიწოდებული მიეწოდებათ სტუდენტებს (მაგალითად ვიდეო მასალების ჩვენება), ხოლო როდესაც სტუდენტები გამოვლენ კოლეჯში, შემდეგ იქნება უშუალოდ პრაქტიკული კომპონენტების განხორციელება უზრუნველყოფილი.

საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ შეაფასა აღნიშნული ინფორმაცია და თქვა, რომ აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლოა ითქვას, რომ კოლეჯი მზად არის ყველა შესაძლო სცენარისთვის, რაზეც დაწესებულების ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ დაწესებულებას ერთი თვით ადრე ჰქონა დაწყებული ამ საკითხზე მუშაობა და მოამზადეს ბევრი ვიდეო გაკვეთილი და მასტერკლასები, მან აღნიშნა, რომ დაწესებულება მთლიანად მიყვება სასწავლო გეგმას.
დაწესებულების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ ეს ძალიან კარგი ინფორმაციაა და აქვე დაამატა, რომ ეს ისეთი პროგრამებია, რომლის პრაქტიკულ ნაწილს დიდი მნიშვნელობა აქვს და მიესალმება იმ ფაქტს, რომ დაწესებულებას ეს გათვალისწინებული აქვს.

საკითხთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა,რომ ალბათ მთლიანად ჩანაცვლება შეუძლებელი იქნება, გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკისა, რაზეც დაწესებულების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მთლიანად ჩანაცვლებაზე საუბარი არ არის და ვიდეო გაკვეთილები მოიცავს მხოლოდ იმ ნაწილს, რაც უნდა ეჩვენებინათ პროფესიული სტუდენტებისთვის, ხოლო კეთება უკვე გადაიწევს პანდემიის შემდეგ, როცა 2 თვის შემდეგ დაწესებულება გამოიყვანს სტუდენტებს კოლეჯში. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაწერილი აქვს ყველა საათი, ჰქონდათ შეფებთან და დაწესებულების მენეჯერებთან შეხვედრადა შესაბამისად ის საათები, რაც გაწერილი არის ამ 2 თვის მანძილზე მოხდა მისი გადაგეგმვა, თუ რა უნდა გაკეთდეს დისტანციურად და როგორ უნდა წარიმართოს სასწავლო პროცესი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ, ქეთევან ციხისელმა საბჭოს თავჯდომარეს მიმართა ერთი ინფორმაციით, მან აღნიშნა რომ კოლეჯთან დაკავშირებით გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღის განსაზღვრა უწევს საბჭოს და პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, იქედან გამომდინარე, რომ ზოგადად შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე უფრო მეტი დროის მიცემა უწევს სამსახურს ექსპერტებისთვის დასკვნის პრექტის შესამუსავებლად, რაც მოიცავს სხვადასხვა ეტაპებს, მათ შორის შეფასებისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტაციის გამოთხოვას, ონლაინ გასაუბრებებს და ჩართვებს და ასევე, საჭიროების შემთხვეაში დამატებითი დოკუმენტაციის მიღებას, შესაბამისად, ცენტრი განსაზღვრავს შედარებით დიდ ვადებს აღნიშნული პროცესების სრულად და ხარისხიანად წარმართვისათვის. ამდენად, აღნიშნულ კოლეჯთან დაკაშირებით სამსახური აყენებს შუამდგომლობას, რომ გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს სხდომის დღიდან - 2020 წლის 27 ნოემბრიდან.
საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა სამსახურის შუამდგომლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი ა(ა)იპ -კოლეჯ „იკაროსში“ „სარესტორნო მომსახურების “ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ -კოლეჯ „იკაროსში“ (ს/კ: 211351071) „სარესტორნო მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

6. სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსადმი მიმართვის განხილვა

დღის წესრიგით გათვალისწინებული ბოლო საკითხი საბჭოს წინაშე წარადგინა სსიპ - კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორმა კარლო კერვალიშვილმა და საბჭოს წევრებს გააცნო განსახილველი

საკითხი. წარმდგენმა საბჭოს მოახსენა, რომ დაწესებულებას მიმდინარე წლის 3 აგვისტოს მიენიჭა უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს სამი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. აღნიშნული პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება მიენიჭა დამატებით მონიტორინგის განხორციელების პირობით, ვინაიდან სტანდარტები „მეტწილი შესაბამისობით“ იყო შეფასებული. მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში განხორციელდა საბჭოს შუამდგომლობით ჩანიშნული ორი პროგრამის მონიტორინგი. დაწესებულების დირექტორის შეფასებით, მონიტორინგის პროცესი ძალიან კარგად წარიმართა, თუმცა შემდგომ იქნა აღმოჩენილი ერთი დეტალი. საკითხი შეეხება „კომპიუტერული ქსელი და სისტემების'' საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. დაწესებულებას, „კომპიუტერული ქსელი და სისტემების“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადის მიხედვით, აღნიშნულ პროგრამაზე მოთხოვნილი ჰქონდა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 30, განაცხადის მიხედვით, ოცდაათივე ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის იყო მოთხოვნილი. ფაქტობრივი გარემოება სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 08 ივლისის N 580747 ბრძანების საფუძველზე პროგრამის დამატების დისტანციური ადმინისტრაციული წარმოების დროს იქნა ექსპერტების დასკვნაში წარმოდგენილი, რომ კოლეჯი აკმაყოფილებს 30 სტუდენტისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. მონიტორინგის ვიზიტის დროს დაწესებულებამ აღმოაჩინა, რომ საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილებით კოლეჯს მიეცა უფლება 15 სტუდენტისთვის განეხორციელებინა ეს პროგრამა, მათ შორის თხუთმეტივე სტუდენტი ინტეგრირებულ პროგრამებზე. დაწესებულების მხრიდან არ მომხდარა 3 აგვისტოს ოქმისა და გადაწყვეტილების გაცნობა მათი გამოქვეყნების შემდეგ. მან ასევე აღნიშნა, რომ 10 აგვისტოს შეწყდა ამ წლის მიღების რეგისტრაცია, მისი შეფასებით, ძალიან ფორსირებულ რეჟიმში მიმდინარეობდა მთლიანად პროცესი, ჯერ იყო ავტორიზაციის პროცესი, შემდეგ საბჭო. რეგისტრაციის დროს, როცა დაწესებულებამ წარადგინა ანკეტა-კითხვარი, რეგისტრაციის ბაზაში არ ყოფილა არანაირი შეფერხება და წარდგენილი იყო 30 სტუდენტის მოთხოვნა, მათ შორის 15 იყო მოდულურ პროგრამაზე, ხოლო 15 - ინტეგრირებულ პროგარამაზე, ანუ ჯამში დაწესებულებამ განაცხადი გააკეთა 30 პროფესიულ სტუდენტზე. იმის გათვალისწინებით, რომ ემისის ბაზა ერთ-ერთი ჩამკეტის ფუნქციასაც ასრულებს ხოლმე სხვა დროს, მაგრამ ამ შემთხვევაში, რადგან ეს პოცესები ძალიან სწრაფ რეჟიმში მიდიოდა, ვერც იქ ვერ შეასულა ამ მონაცემმა ჩამკეტის ფუნქცია და ჩვეულებრივ დარეგისტრირდნენ სტუდენტები. სტუდენტებმა გაიარეს ყველა ის ეტაპი და საფეხური, რაც არის დადგენილი, ჩააბარეს გამოცდა და ჩაირიცხნენ. აღნიშნული ეტაპების გავლის შემდეგ დაიწყო სასწავლო პროცესი. მონიტორინგის ვიზიტის დროს კი აღმოჩნდა, რომ არსებობს ასეთი ჩანაწერი გადაწყვეტილებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე, აღნიშნა, რომ ძალიან რთულია 2 აგვისტოს სხდომის დეტალების გახსენება, ვინ რა თქვა და როგორ თქვა, არის ოქმი და ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება აცნობიერებს იმას, რომ ოქმის გასაჯაროების შემდეგ, აუცლებლად უნდა გაცნობოდნენ ამ ოქმს და გადაყვეტილებას, თუმცა აქვე აღნიშნა ის გარემოება, რომ ვინაიდან პრობლემა არ შექმნია დაწესებულებას კვოტებთან დაკავშირებით რეგისტრაციის დროს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მხრიდან, დეტალურად კვოტების გადამოწმება ოქმში არ განუხორციელებიათ. აქვე აღნიშნა ის, რომ სწორედ იმიტომ, რომ დროულად ვერ მოხდა ხარვეზის იდენტიფიცირება, საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა გასულია. აღნიშნული სიტუაციიდან გამომდინარ,ე დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს მიმართა თხოვნით, და აღნიშნა, რომ მისი მოლოდინიც ესეთია, რომ ის უშვებს იმ ფაქტს, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ ხარვეზს, რადგან დაწესებულებას განაცხადი 30 სტუდენტზე ჰქონდა გაკეთებული და ექსპერტებმაც შეამოწმეს და დაადასტურეს 30 პროფესიული სტუდენტის მიღების შესაძლებლობა ინტეგრირებულ პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ არანაირი აზრი არ ქონდა დაწესებულების მიერ მოთხოვნას, რომ შეემცირებინათ ქვოტა, რადგან თუ არ ენდომებოდათ მიღება, შეეძლოთ

აღნიშნული კვოტით მიეღოთ ავტორიზაცია და უბრალოდ არ გამოეცხადებინათ სრული მიღება. მისი შეფასებით ყველანაირ ლოგიკურ აზრსაც კი მოკლებულია, რომ დაწესებულებას მისი ნებით უარი ეთქვა 30-ზე და მოეთხოვა 15.
მან ასევე აღნიშნა, შესაძლებელია საბჭოზე დაწესებულების მიერ დაფიქსირებული მსჯელობა კვოტებთან დაკავშირებით არ იქნა ზუსტად გაგებული, როდესაც დაწესებულებამ უარი თქვა 30 პროფესიულ სტუდენტზე ინტეგრირებული პროგრამისათვის, თუმცა არა 30 ჯამურ ქვოტაზე. ანუ დაწესებულების სურდა 30 ზღვრული რაოდენობიდან 15 პროფესიული სტუდენტი მიეღო ინტეგრირებულ პროგრამაზე და 15 პროფესიული სტუდენტი არაინტეგრირებულზე.
მან აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ისღაა დარჩენილი, რომ დაწესებულებამ საბჭოს მიმართოს თხოვნით, და თუ საბჭო ჩათვლის, რომ ეს არის ტექნიკური ხარვეზი და გადაწყვეტილებაში უნდა ყოფილიყო 30 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 15 ინტეგრირებულ პროგრამაზე და თუ საბჭო დათანხმება ამ ცვლილებას, მისი შეფასებით ყველანაირი საკითხი გასწორდება.
მან ასევე აღნიშნა, რომ ამ გადაწვეტილების არ /ვერ მიღების შემთხვევაში მოსალოდნელი შედეგი არის ის, რომ ყველა ჩარიცხვის ბრძანებას, რომელიც გამოცემულია კოლეჯის მიერ, სამართლებრივი ძალა არ გააჩნია და გამომდინარე აქედან, პროფესიული სტუდენტების ერთი ჯგუფისთვის კოლეჯს მოუწევს უარის თქმა სწავლის გაგრძელებაზე და მათ თავიდან მოუწევთ ამ პროცედურების გავლა.
ამიტომ სტუდენტების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით მიმართა შუამდგომლობით დაწესებულებამ საბჭოს. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება არაფრით არ გამორიცხავს საკუთარ დანაშაულს, ვინაიდან მათ უნდა ენახათ საბჭოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ, რაც გამორიცხავდა საკითხის ასეთ დონეზე განვითარებას.
მან გამოთქვა იმედი, რომ საბჭო ამოვა სტუდენტების საუკეთესო ინტერესებიდან და გასწორდება ეს ჩანაწერი.

საკითხის გაცნობის შემდეგ კომენტარი გააკეთა საბჭოს თავმჯდომარემ და მან აღნიშნა, რომ აგვისტო არის ნამდვილად ის პერიოდი, რომლის ზეპირად გახსენება ფაქტობრივად შეუძლებელია, აქედან გამომდინარე მან გამოთქვა პოზიცია, რომ აუცილებელი იყო რამდენიმე კითხვის დასმა, როგორც დაწესებულების, ასევე ცენტრის მიმართ.
საბჭოს თავჯდომარემ კითხვით მიმართა ცენტრს, შეეძლოთ თუ არა დაეფიქსირებინათ, რამდენი იყო და რა ფორმით იყო ფორმულირებული ექსპერტთა დასკვნაში კვოტების საკითხი და ასევე, იკითხა იყო თუ არა შემორჩენილი იმ კონკრეტული სხდომის აუდიოჩანაწერი.
საბჭოს თავმჯდომარის კითხვას უპასუხა ცენტის წარმომადგენელმა, ქეთევან ციხისელმა და მეორე კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ჩანაწერი შემორჩენილი არ არის, ვინადან როგორც კი ოქმი დგება, ცენტრის დირექტორის ბრძანების მიხედვით, ცენტრი ვალდებულია, მოახდინოს აუდიოჩანაწერის განადგურება. მან ასევე უპასუხა თავმჯდომარის პირველ კითხვას და აღნიშნა, რომ დასკვნაში ნამდვილად ფიქსირდება 30 ზღვრული რაოდენობა და ასევე 30-ივე მოთხოვნილი იყო ინტეგრირებულ პროგრამაზე. დაწესებულებას თავისი განაცხადშიც ანალოგიურად ჰქონდა წარმოდგენილი და ექსპერტთა ჯგუფიც დათანხმდა ამ რაოდენობებზე.

თავჯდომარემ ასევე იკითხა ოქმის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში მიმართა თუ არა დაწესებულებამ ცენტრს, რაზეც ცენტრის წარმომადგენელმა აუპასუხა, რომ დაწესებულებას ცენტრისთვის გასაჩივრების დადგენილ ვადაში არ მიუმართავს.

საბჭოს თავჯდომარემ ასევე მიმართა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორს ნინო სტეფანიშვილს, დაამატებდა თუ არა რაიმეს მონიტორინგთან დაკავშირებით, როგორ იქნა ეს ხარვეზი აღმოჩენილი და ასევე, სთხოვა დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრება.

ქალბატონმა ნინომ აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხი აღმოჩენილ იქნა დასკვნის პროექტის კითხვის დროს, მაშინ როცა დებულების მოთხოვნის შესაბამისად, ცენტრის წარმომადგენელი ეცნობა დასკვნის პროექტს. გამომდინარე იქიდან, რომ იქ არის ჩანაწერი - აქტიური სტუდენტების რაოდენობა და საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა. მან აღნიშნა, რომ გადაწყვეტილებისა და დასკვნის პროექტის დადარების დროს აღმოჩნდა, რომ იყო პრობლემა, გადაჭარბება. დასკვნის პროექტის კითხვის დროს აღმოაჩინა ეს ხარვეზი და არა ვიზიტის დროს. გამომდინარე იქედან, რომ ეს იყო დისტანციური ვიზიტი, ამ მონაცემებს ექსპერტები ადგენენ მხოლოდ ინტერვიუებით, ვინაიდან ემისის ბაზების გადამოწმების შესაძლებლობა ექსპერტებს არ აქვთ თუ დაწესებულებაში არ იმყოფება ვიზიტზე და საკითხის გარკვევა ხდება ინტერვიუს დროს - ექსპერტები ეკითხებიან და იწერენ ინფორმაციას. მან აღნიშნა,რომ სწორედ აქ იყო პრობლემა, რადგან მან ვერ გაიგო რა რაოდენობაზე იყო საუბარი და შემდეგ ნახა პროექტი, რომლის გადაწყვეტილებასთან დადარების დროს დაფიქსირდა კვოტებში შეუსაბამობა.

თავმჯდომარემ ასევე იკითხა, თუ შეეძლო დაეფიქსირებინა EMIS -თან (განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან) როდის იქნა ოქმი გადაგზავნილი. მან ასევე საბჭოს წევრებს შეახსენა ის, რომ აღნიშნული საბჭოს სხდომა იყო ზაფხულის იმ ცხელ პერიოდში, როცა მიჯრით ტარდებოდა საბჭოები.
ქალბატონმა ნინომ ასევე დაამატა, რომ ხარვეზის აღმოჩენის შემდეგ დაინტერესდა რამდენად სწორად იყო მიწოდებული ემისთან ინფორმაცია და მან აღნიშნა,რომ ცენტრის მხრიდან სწორად იყო მიწოდებული ინფორმაცია
ამასთან დაკავშირებით, ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ციხისელმა საბჭოს მიაწოდა ინფორმაცია, რომ 3 აგვისტოსვე მოხდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის ბაზების მიწოდება და ასევე, გადაწყვეტილებების მიწოდება.

თავმჯდომარემ მიმართა დამაზუსტებელი კითხვით, თუ რა რაოდენობა იყო ბაზებში მითითებული. ცენტრის წარმომადგენელმა განმარტა რომ ბაზაში ფიქსირდებოდა ზუსტად ის რაოდენობა რა რაოდენობაზეც ოქმში იყო ჩანაწერი და შესაბამისად, აღნიშნული ფიქსირდებოდა გადაწყვეტილებაშიც (15 ზღვრული რაოდენობა და თხუთმეტივე ინტეგრირებული).

თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ, როგორც მას ახსოვს, 2 აგვისტოს სხდომაზე ბატონი კარლო თვითონ იყო ცვლილების ინიციატორი, კერძოდ, პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მთლიანად 15-ით, მათ შორის ინტეგრირებულ პროგრამაზე 15 პროფესიული სტუდენტით რომ განსაზღვრულიყო.

ქალბატონმა შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მათ ამაზე 2 აგვისტოს საბჭოზეც ჰქონდათ საუბარი, კერძოდ, დაწესებულებას სურდა მოთხოვნილი და ექსპერტების მიერ დადასტურებული კვოტა - 30 პროფესიული სტუდენტი ინტეგრირებულ პროგრამაზე, , გადაენაწილებინა ასე: 15 ინტეგრირებულ და 15 მოდულურ პროგრამაზე, რაზეც მიიღო განმარტება, რომ ეს არ წარმოადგენს პრობლემას.

თავმჯდომარემ იკითხა, როგორი იყო EMIS-ის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რაზე დაყრდნობით განახორციელეს მათ ეს ცვლილება. მან იკითხა, ხომ არ ჰქონდათ წინასწარ გადაწყვეტილების რაიმე ფორმა მიწოდებული და ეს ხომ არ გახდა მიზეზი, მან ასევე აღნიშნა, რომ ზემოთხსენებული პერიოდი იყო საკმაოდ რთული რიგი გარემოებების გამო და არ გამორიცხავს, რომ შესაძლებელია გაიპარა ტექნიკური ხარვეზი.
აღნიშნულზე კომენტარი გააკეთა ცენტრის წამომადგენელმა, ქეთევან ციხისელმა. მან აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ინფორმაციას ვერ მიაწვდის საბჭოს, რადგან არ ფლობს ასეთ ინფორმაციას,

თუ რა მოხდა სისტემაში და მან აღნიშნა, რომ ემისი უნდა დაყრდნობოდა იმ ინფორმაციას, რაც იქნა მიწოდებული ცენტრის მიერ და აქვე აღნიშნა, რომ წინასწარ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის არ ყოფილა ფორმები მიწიდებული. ასევე, არ მომხდარა ოფიციალურად ინფორმაციის გამოთხოვა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით,
თავმჯდომარემ მიმართა დამაზუსტებელი კითხვით, რომ ოფიციალურის გარდა, ხომ არ ჰქონიათ რაიმე ტიპის კომუნიკაცია, რათა გაერკვიათ რა მოხდა. თავჯდომარემ იკითხა, ხომ არ იყო საბოლოო დასკვნასა და დასკვნის პროექტს შორის აცდენა და ხომ არ მოხდა ისე, რომ ცენტრის მიერ ემისს მიეწოდა ორივე დოკუმენტაცია.
აღნიშნულზე ცენტრის წარმომადგენელმა თქვა, რომ ცენტრის მხრიდან დოკუმენტებში, ექსელის ფაილებსა და გადაწყვეტილებაში აცდენა არ არის და აღნიშნა, რომ ცენტრმა მიაწოდა იმ სახით, რა სახითაც ბოლო გადაწყეტილება არის გამოქვეყნებული ცენტრის ვებ-გვერდზე.

საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნა, რომ კარგი იქნებოდა ემისისგან ამ საკითხის შესახებ კომენტარის მოსმენა და გაგება თუ რა არის მათი კომენტარი, ისინიც ტექნიკურ შეცდომად აკვალიფიცირებენ, თუ ეს გადაწყვეტილება რაიმე მონაცემს ეყრდნობოდა, ვინაიდან მისთვის გაუგებარია, საიდან მივიდა ემისთან აღნიშნული რიცხვი - 30.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, რა ინფორმაციას ფლობდა ის ემისის პოზიციასთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვერავინ ვერ გაიხსენებს ზუსტად საკითხს, თუმცა აღნიშნა, რომ ემისს მიღებული აქვს ცენტრიდან დოკუმენტაცია ისეთი ფორმით, როგორიც ცენტრის წარმოამდგენელმა საბჭოს მოახსენა. თუმცა არც თვითონ გამორიცხავს, რომ აქ არის შეცდომა გაპარული, თუმცა ის ასევე არ გამორიცხავს იმას, რომ ძალიან ცოტა დრო იყო დარჩენილი რეგისტრაციამდე, ემისმა დაწესებულებას ბაზები გაუხსნა სამშაბათ დღეს, ანუ სამშაბათიდან კვირამდე უნდა მომხდარიყო ადგილების შევსება და ეს პროცესი ძალიან რთულ რეჟიმში მიმდინარეობდა. მან აღნიშნა, რომ ხშირად ხდებოდა კომუნიკაცია ემისთან იმასთან დაკაშირებით, თუ როდის გამოუჩნდებოდა ვაკანტური ადგილები დაწესებულებას.

თავჯდომარემ თხოვა დაწესებულების წამომადგენელს დაეზუსტებინა თარიღები.
დაწესებულების წრამომადგენელმა თარიღის დაზუსტების მიზნით აღნიშნა, რომ, ეს იყო 4 აგვისტოდან 10 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან ძალიან აქტიურად მიმდინარეობდა დაკონტაქტება ემისთან, რომ ჩქარა გამოჩენლიყო ადგილები, და არ გამორიცხავს ის, რომ ამ ბაზების გახსნას ვინც აკეთებდა დაეყრდნო დაწესებულების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას და არა ცენტრის მიერ გადაგზავნილ ინფორმაციას. ამან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას გადაწყვეტილი ქონდა და ემზადებოდა, რომ ჯგუფები უნდა გახსნილიყო 15-15 -ზე და ჯამში 30 უნდა ყოფილიყო. ამიტომაც ის ფიქრობს, რომ დაწესებულება თავისი ნებით არ შეამცირებდა სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.
საკითხთან დაკავშირებით ასევე აზრი დააფიქსირა საბჭოს წევრმა ნინო კაკულიამ და აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია, სად მოხდა შეცდომის დაშვება.
დაწესებულების წარმომადგენლის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციაზე ასევე კომენტარი გააკეთა საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ და აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მისთვის უცნობია, როგორ მუშაობს ემისი, მას ეჭვი ეპარება, რომ ზეპირი კომუნიკაციის საშუალებით მიღებული ინფორმაციით იხელმძღვანელებდა, მისი შეფასებით ემისს ცენტრისგან უნდა მიეღო მონაცემები, თუ რამდენ სტუდენტზე უნდა გაეხსნა ბაზები.

საბჭოს წევრმა ნინო კაკულიამ აღნიშნა, რომ მისთვის ასევე უცნაურია, თუ რატომ არ ახსოვდა კოლეჯს, რა გადაწვეტილება იქნა მიღებული საბჭოზე.

ამაზე საბჭოს თავჯდომარემ უპასუხა, რომ კოლეჯის პოზიცია არის ის, რომ მას ახსოვდა ისე, როგორც მან ჩათვალა. რადგან მოთხოვნა ნამდვილად 30 -ზე იყო გაკეთებული, მაგრამ პრობლემა წარმოიშვა, როდესაც მათ დააზუსტეს 15-15.

დაწესებულების წარმომადგენელმა აგვისტოს საბჭოს სხდომის გახსენების მიზნით, ისაუბრა პირად მიმოწერაზე და აღნიშნა, რომ ის საბჭოს სხდომაც იყო ონლაინ და მაშინ არ იმყოფებოდა თანამშრომლებთან ერთად, ამიტომ აქვს ვოცაფის მესიჯბოქსში შემონახული პირადი მიმოწერა, სადაც საუბრობენ კვოტის განსაზღვრასთან დაკავშირებით, სადაც ხარისხის მართვის მენეჯერი მას ეუბნება, რომ 30- 30 არის ძალიან ბევრი და ამდენს ვერ შეძლებდა დაწესებულება, რაზეც პასუხი მისწერა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომ 15-15 იქნებოდა აბსოლუტურად საკმარისი, მან შესთავაზა საბჭოს, რომ შეეძლო გაეზიარებინა ეს მიმოწერა, რაზეც საბჭოს თავჯდომარემ უპასუხა, რომ საბჭოს უფლებამოსილება არ არის პირადი მიმოწერები დოკუმენტად მიიღოს ან განიხილოს მტკიცებულებად.
საბჭოს წევრმა შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მისი აზრით ტექნიკური შეუსაბამობაა. შესაძლებელია, საბჭო გადაწყვეტილებას რომ იღებდა, გააჟღერა, რომ 15 ინტეგრირებული და 15 არაინტეგრირებული. მან აღნიშნა, რომ ახსოვს, რომ იყო ამაზე საუბრი, არ უნდოდათ ამდენი, მაგრამ აქვე აღნიშნა, რომ არ ახსოვს რომელი კოლეჯი ამბობდა ამას. ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არ ჰქონდა მნიშვნელობა, რადგან თუ დაწესებულებას ინტეგრირებულზე 30-ის მიღება შეუძლია, ამ კვოტით ჩვეულებრივ პროგრამაზეც შეუძლია მიიღოს პროფესიული სტუდენტები, აქ მნიშვნელოვანია რომ ინტეგრირებულის რაოდენობა განისაზღვროს ზუსტად. მისი შეფასებით, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ტექნიკური პრობლემაა დაფიქსირებული, თუმცა ასევე აღნიშნა, რომ მისთვის საინტერესოა ემისითან მიმართებაში აღნიშნული საკითხი, რომ მას უნდა მიიეღო ცენტრის მიერ შესაბამისი დოკუმენტი და ისე უნდა დაეფიქსირებინა რაოდენობა, და იკითხა, ხომ არ მიიღო ემისმა ინფორმაცია, რომ გაეხნა 30 -ზე, რაზეც ცენტრის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ემისმა მიიღო დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია ზღვრული რაოდენობა 15 და თხუთმეტივე ინტეგრირებულზე. ამასთან დაკავშირებით ქალბატონმა შორენამ გააკეთა კომენატარი და თქვა, რომ გადაწყვბეტილებაში წერია 15, რაზეც ცენტრის წარმომადგენელმა ასევე უპასუხა, რომ გადაწყვეტილებაში წერია, 15 ზღვრული და ამდენივე ინტეგრირებული.
ამაზე საბჭოს წევრმა ნინო კაკულიამ იკითხა, თუ ეს ესე იყო, რა წარმოადგენდა პრობლემას, რაზეც უპასუხა ცენტრის წარმომადგენელმა, რომ დაწესებულებას უნდოდა 30 ზღვრული და არა 15.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაჯამა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ მოთხოვნილი იყო 30, დადასტურებულ იქნა 30 ინტეგრირებულზე ექსპერტების მიერ, დაზუსტება იყო, როგორც ჩანს, რომ 15 ინტეგრირებულზე და 15 არაინტეგრირებულზე/ ან 15 ინტეგრირებულზე. ოქმში გაფორმდა 15 ზღვრული რაოდენობა, მათ შორის 15 ინტეგრირებულზე. ეს გაეგზავნა ემისს, სავარაუდოდ 3 აგვისტოს, მაგრამ ბაზები გაიხსნა 30 პროფესიულ სტუდენტზე. აქვე აფიქსირებს, რომ ყველა გადაწყეტილებას ახლავს თავისი გასაჩივრების ვადები, რომლის ფარგლებშიც დაწესებულებას არ მოუმართავს, თუმცა აქ არის ყველაზე მნიშვნელოვანი ის, რომ ამ წუთას სტუდენტის ინტერესები არ არის დაზარალებული, სტუდენტებისთვის არ დგას უარყოფითი შედეგი, იმ კუთხით, რომ იმაზე მეტი რაოდენობა არ არის სტუდენტების რისი მიღებაც რეალურად დაწესებულებას შეუძლია მატერიალური რესურსიდან გამომდინარე და აღნიშნული დაფიქსირებულია დასკვნაშიც.
აღნიშნული ინფორმაცია დაადასტურა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა, ნინო სტეფანიშვილმა და თქვა, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომ დასკვნაში ფიქსირდება, რომ დაწესებულებას შეუძლია 30 პროფესიული სტუდენტის მიღება, მათ შორის 30 ინტეგრირებულის. აქვე აღნიშნა, რომ პირველი დასკვა, რაც იყო, მოთხოვნა იყო 30 პროფესიული სტუდენტი, მათ შორის 30

ინტეგრირებულზე და განმარტა, რომ ამ ქვოტის თანახმად დაწესებულებას შეუძლია მიიღოს 30 პროფესიული სტუდენტი და ოცდაათივე იყოს ინტეგრირებული.
ამასთან დაკავშირებით თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს არ გამორიცხაავდა იმას, რომ 15 ყოფილიყო ინტეგრირებული და 15 არაინტეგრირებული, რაზედაც დაეთანხმა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.
თავმჯდომარის შეფასებით, ამჟამად რეალობაა ასეთი, რომ 15 ინტეგრირებულია და 15 არაინტეგრირებული და მან მიმართა დაწესებულების წამომადგენელს კითხვით, ყავდათ თუ არა 30 სტუდენტი პროგრამაზე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამჟამად პროგრამაზე ირიცხებოდა 27 პროფესიული სტუდენტი.
პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორმა,ნინო სტეფანიშვილმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ როდესაც საუბარია 30 სტუდენტზე და მათ შორის 15 ინტეგრირებულზე, ეს იმას ნიშნავს, რომ დაწესებულებას შეუძლია პროგრამაზე მიიღოს 30 სტუდენტი, მაგრამ 15 - ზე მეტს ინტეგრირებულზე ვერ მიიღებს.

კომენტარი გააკეთა ასევე საბჭოს წვერმა ნინო კაკულიამ და იკითხა, ოქმებში ეწერა თუ არა სადმე, რაზე იღებდა საბჭო გადაწყვეტილებას , რაზეც თავმჯდომარემ უპასუხა რომ არის, და ეწერა რომ 15-ია კვოტა და მათ შორის 15 - ინტეგრირებული.
თავმჯომარემ ასევე აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მსჯელობა მიდის იმაზე, რომ დასკვნას და გადაწყვეტილებას შორის არის აცდენა, ის რომ შემდგომ მოხდა ემისის ბაზების 30 სტუდენტზე გახსნა და ის, რომ ამ წუთას სტუდენტები სწავლობენ და საბჭოს შესაფასებელი აქვს ყველაფერი ერთად.

საბჭოს წევრმა ნინო კაკულიამ აღნიშნა, რომ საბოლო ჯამში უცნაური გარემოება იქმნება იმისა, თუ რატომ ასახა ემისმა ბაზებში სწორედ 30 სტუდენტი.
რაზეც თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ემისის პოზიცია საბჭოსთვის უცნობი იყო.
ასევე კომეტარი გააკეთა დაწესებულების წარმომადგენელმა და აღნიშნა,რომ მისთვის უფრო მეტად პრობლემურია არა ის, რომ ემისმა 30 სტუდენტზე გაუხსნა დაწესებულებას ბაზები, არამედ ის რომ ოქმში წერია 15 და მათ შორის 15 ინტეგრირებული, და მან აღნიშნა, რომ დაწესებულება მზად არის 30 სტუდენტისთვის უზრუნველყოს სწავლების პროცესი. მან აღნიშნა, რომ ჩანაფიქრშიც ეს ქონდათ და მზადყოფნაც ასეთი ჰქონდათ და აღნიშნა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ოქმში ეწეროს და საბჭოს მიერ მონიჭებული უფლება ქონდეს დაწესებულებას, რომ განახორციელოს სწავლება აღნიშნული კვოტით.
მან შეაჯამა და თქვა, რომ დაწესებლებას აქვს სურვილი ქონდეს ზღვრული ოდენობა 30 პროფესიული სტუდენტისა და აქედან 15 იყოს ინტეგრირებული და აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით კოლეჯი ინტეგრირებულზე 15 სტუდენტის მეტის მიღებას არ გეგმავს. ასევე აღნიშნა, რომ აქვთ ასევე მეორე პროგრამა, რომელიც ინტეგრირებულად ხორციელდება და ასევე, მომავალში გეგმავენ, რომ დაიმატონ კიდევ ერთი პროგრამა, რომელიც ასევე ინტეგრირებულად განხორცილედება. შესაბამისად, ეს ლაბორატორია ფიზიკურად ვერ დაიტევს ამდენ სტუდენტს.
ამასთან დაკავშირებით საბჭოს თავჯდომარემ კითხა დაწესებულების წარმომადგენელს, რატომ ჰქონდათ მოთხოვნა 30 -ზე და 30 - ივე ინტეგრირებულზე. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შესაძლოა იქაც რაღაც შეცდომა გაეპარა დაწესებულებას. აღნიშნა, რომ რეალურად განზრახული იყო, რომ ამ პროგრამაზე დაწესებულებას ჰყოლოდა 30 სტუდენტი და აქედან 15 - ინტეგრირებული, ეს იყო განზრახვა და ასეც გააკეთა დაწესებულებამ, და აქვე აღნიშნა, რომ ემისის დანაშაული ის, რომ ამის გაკეთების შესაძლებლობა მიეცა დაწესებულებას.

საბჭოს წევრმა ნინო კაკულიამ ცენტრს მიმართა კითხვით, ემისს რა რაოდენობაზე ქონდა მიწოდებული ინფორმაცია, რაზეც ცენტრის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მიწოდებული

იყო ინფორმაცია გადაწყვეტილების შესაბამისად, 15 ზღვრული და 15-ივე ინტეგრირებული. ამაზე საბჭოს წევრმა გააკეთა კომენტარი, რომ მისთვის გაუგებარია ,ასეთ შემთხვევაში რას დაეყრდნო ემისი.
საბჭო თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხთან დაკავშირებით რამდენიმე აქცენტზე უნდა გამახვილდეს ყურადღება:

1. ემისის მიერ ხარვეზის დაშვებასთან დაკავშირებით შესაძლოა საბჭოს ქონდეს მოსაზრება, მაგრამ მოკვლევა და შესწავლა საბჭოს ფორმატი არ არის.
2. ინსტიტუციური შესაძლებლობა აქვს კოლეჯს 30 სტუდენტის მიღების, აქედან 15 ინტეგრირებულზე და 15-არაინტეგრირებულზე - ეს დასკვნის შესაბამისადაც ფიქსირდება.
3. სტუდენტის საუკეთესო ინტერესები, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეწიროს რაიმე ტიპის შეცდომას.
4. ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რა რეჟიმში იყო მუშაობა იმ პერიოდში, როგორც ცენტრის, ისე საბჭოს, ისე დაწესებულების მხრიდან და ალბათობა ტექნიკური შეცდომის დაშვებისა, იყო მაღალი.

აქვე მან, როგორც საბჭოს თავმჯდომარემ დაფიქსირა, რომ არ ახსოვს გადაწყვეტილების ეს დეტალები, გამომდინარე იმ დაძაბული და გადატვირთული სამუშაო გრაფიკიდან.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო ოთახი.
საბჭოს თავმჯდომარემ გააცნო გადაწყვეტილება: საბჭომ ბევრი იმსჯელა, თუ როგორ შეფასებულიყო დაწესებულების ყველა იმ არგუმენტის და მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით ეს გარემოება და ყოველი იმ არგუმენტის, მოყვანილი გარემოებების გათვალისწინებით, რომელზეც წარიმართა დისკუსია, საბჭომ მიიღო გადაწყეტილება, რომ დაწესებულების მხრიდან დაყენებული შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნას და შეფასდეს როგორც ტექნიკური ხარვეზი. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭო კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, რომ მთავარია სტუდენტის საუკეთესო ინტერესების დაცვა და საბჭო მთავარ აქცენტს აკეთებს სწორედ იმ დასკვნაზე, რომელიც ექსერტების მიერ იყო წარმოდგენილი. რაც შეეხება ტექნკურ ხარვეზთან დაკავშირებულ საკითხს, იკვეთება თუ არა პასუხისმგებლობა, ან ვისი პასუხისმგებლობა იკვეთება, ამაზე მსჯელობა აღნიშნულ ფორმატში შეუძლებელია და ეს არის ცენტრის პრეროგატივა, თუკი ის მიზანშეწონილად მიიჩნევს მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. საბჭოს წარმოდგენილი არგუმენტებისა და გარემოებების გათვალისწინებით, რაც მთავარია დაწესებულების ინსტიტუციური შესაძლებლობების და ექსპერტთა დასკვნაზე დაყრდნობით, საბჭო საკითხს აფასებს, როგორც ტექნიკურ ხარვეზს.

შესაბამისად, საბჭო თვლის, რომ გადაწყვეტილებაში უნდა შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 30 - ით, აქედან 15 პროფესიული სტუდენტი განისაზღვროს ინტეგრირებულ პროგრამაზე.

საბჭოს თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, კიდევ ერთხელ დაეფიქსირებინათ მათი თანხმობა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
ცვლილება განხორციელდეს " სსიპ - კოლეჯი „მოდუსისთვის" „კომპიუტერული ქსელი და სისტემების" საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები", პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 3 აგვისტოს №656579 გადაწყვეტილებაში. კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი)**.

გადაწყვეტილების ამოქმედების საკითხთან დაკავშირებთ კომენტარი გააკეთა ცენტრის წარმომადგენელმა, ქეთევან ციხისელმა და თქვა, რომ წინა გადაწყვეტილების ამოქმედების თარიღად განსაზღვრული იყო 2 აგვისტო და შესაბამისად აღნიშნული ცვლილებაც 2 აგვისტოდან იქნება ძალაში შესული, რაზეც დაეთანხმა საბჭოს თავმჯდომარე.

დაწესებულების წამრომადგენელმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს და ითხოვა, თუ იყო შესაძლებელი დაყენებინა შუამდგომლობა, მცირე ცვლილების განხორციელების შესახებ, რაზეც საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა.

7. **„სსიპ - კოლეჯი „მოდუსისთვის" „მებაღეობის" საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები", პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 3 აგვისტოს №656191 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა:**

მოდუსის დირექტორმა კარლო კერვალიშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს გადაწყვეტილებაში არის მითითებული დაწესებულების სტატუსი, როგორც ა(ა)იპ - არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ნაცვლად. ეს არის გადაწყვეტილება „მებაღეობის" პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით . აღნიშნული არის 2020 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება და მან საბჭოს სამდივნოს მიმართა თხოვნით, რომ გასწორებულიყო ეს მონაცემი და აღნიშნა, რომ აქაც წმინდა ტექნიკური ტიპის ხარვეზს აქვს ადგილი.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მისთვის გასაგებია დაწესებულების მდგომარეობა აღნიშნული გარეომოებებიდან გამომდინარე და მისთვის ასევე გასაგებია ცენტრის მდგომარეობაც, ვინაიდან ძალიან დიდი შრომა იქნა გაწეული და ფიქრობს, რომ ტექნიკურ ხარვეზს არ უნდა გადაყვეს ის მთავარი მონაპოვარი, რასაც ახალი სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობა ქვია.
საბჭოს თავჯდომარემ აღნიშნულ შუამდგომლობასთან დაკავშირებით მიმართა ცენტრს, იყო თუ არა ნამდვილად ეს შეცდომა დაფიქსირებული, რაზეც ცენტრის წარმომადგენელმა, მაყვალა დარსანიამ უპასუხა, რომ „მებაღეობის" გადაწყვეტილებაში ფიქსირდება ასეთი შეცდომა.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ტექნიკური ხარვეზის გასწორებასთან დაკავშირებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

ცვლილება განხორციელდეს „სსიპ - კოლეჯი „მოდუსისთვის“ „მებაღეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები“, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2020 წლის 3 აგვისტოს №656191 გადაწყვეტილებაში. კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად - „სსიპ - კოლეჯ „მოდუსს“ (ს/კ: 216350829) მიენიჭოს უფლება განახორციელოს დანართით განსაზღვრული „მებაღეობის“ საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (დანართი)“.

ცენტრის წარმომადგენელმა ქეთევან ციხისელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სსიპ კოლეჯ „აისთან“ დაკავშირებით:მიმდინარე წლის 20 ნოემბერს კოლეჯმა მიმართა ცენტრს და ასევე, საბჭოს შუამდგომლობით, იმასთან დაკავშირებით, რომ აგვისტოში ჩატარებულ საბჭოს სხდომაზე მას მიენიჭა უფლებამოსილება „შედუღების“ პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით, თუმცა ფიქსირდებოდა მეტწილი შესაბამისობა 2.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, რომელიც მატერიალურ რესურსს შეეხება. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულება წერილში აფიქსირებს, რომ შექმნილი ეპიდსიტუაციიდან გამომდიანარე, შეფერხდა შედუღების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო დანადგარების მოწოდება, აღნიშნული ასევე ფიქსირდება მომწოდებლის წერილში, რომელიც გადმოგზავნილია ასევე საბჭოსთვისაც და დაწესებულება ითხოვს მონიტორინგის ვადის გადაწევას, რომელიც დანიშნული იყო 30 ნოემბერს, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, დაწესებულება ითხოვს მონიტორინგის ვადის გახანგრძლივებას 28 დეკემბრამდე. ეს თარიღი ფიქსირდება ასევე, მომწოდებელსა და კოლეჯს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. ცენტრის წამრომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ კოლეჯი აზუსტებს, რომ პროგრამის განხორციელებას არ შეექმნება პრობლემა, ვინაიდან ის მოდულები, რომლებიც საჭიროებენ ამ სამი სახის დანადგარს, იწყება 21-ე კვირიდან. .შესაბამისად, უკვე 28 დეკემბერს ეს მასალები ექნება დაწესებულებას თავის ტერიტორიაზე და ითხოვს მონიტორინგის ვადის განსაზღვრას 31 დეკემბრის თარიღით.

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომაზე იმყოფებოდა დაწესებულების წარმომადგენელი, ბატონი მალხაზ ასლამაზაშვილი. ბატონმა მალხაზმა გააკეთა კომენტარი აღნიშნულზე და ის დაეთანხმა ცენტრის მიერ გაჟღერებულ შუამდგომლობას და აღნიშნა, რომ მართალია, ჯერ არ არის 30 ნოემბერი მოსული, მაგრამ დღესაც ერთი დანადგარი უკვე შემოტანილია მომწოდებლის მიერ, მაგრამ თავის დაზღვევის მიზნით, დაწესებულებამ მოითხოვა მისი გახანგრძლივება და აღნიშნა, რომ ასევე მომწოდებელმაც მიმართა დაწესებულებას და ითხოვა 28 დეკემბრამდე გადავადება.
მან აღნიშნა, რომ პროგრამების განხორციელებას ნამდვილად არ შეექმნება პრობლემა, ვინაიდან „შედუღების“ პრაქტიკული კომპონენტები, სადაც უშუალოდ ეს დანადგარებია საჭირო, იწყება 21-ე კვირას, რომელიც განსაზღვრულია მარტის შუა რიცხვებისთვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა მიმართა თხოვნით საბჭოს, რომ მონიტორინგის ვადა გადაწეულ იქნას 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტიდან საბჭოს ჰქონდა შუამდგომლობა, რომ მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული ვადის გადაწევის საკითხი, კანონმდებლობით გათვალისწინებული მაქსიმალური ვადის გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ „აისის“ მონიტორინგის თარიღის გადაწევის საკითხი და ვინაიდან 30 ნოემბერის ოქმის გამოქვეყნება ვერ მოესწრებოდა, გადაწყვეტილების ამოქმედების ვადად განსაზღვრა საბჭოს სხდომის თარიღი 27 ნოემბერი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 7
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

საბჭომ მიიღო დაგაწვეტილება სსიპ კოლეჯ „აისისთვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შედუღება“ მონიტორინგის ვადის გადაწევასთან დაკავშირებით და მონიტორინგის ვადად განისაზღვრა 2020 წლის 31 დეკემბერი. ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვრა საბჭოს სხდომის თარიღი 27 ნოემბერი.

საბჭოს სხდომა დასრულდა:17:30 საათზე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ყუფუნია ნანა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯაფარიძე შორენა

პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული ქსელი და სისტემები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, შარტავას გამზირი №4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში)	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	178
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120